როლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
[illegible]
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი 14—76. რედაქტორის.
ტელეფონი 10—58. მდივანის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მომწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრეთათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით მომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ

№ 86 (941) ოთხშაბათი, 16 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 86 (941)

დღეს

დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა პარტეიტაგის მოწოდება პარტიის მთლიანობის აღდგენის შესახებ.

მიუნხენში (გერმანია) დაიწყო [illegible]

პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-რუმინეთის [illegible] ხელშეკრულებას.

დაითხოვეს საფრანგეთის დეპუტატთა პალატა.

დღეს ყველა ხელისმომწერლებს ურიგდება უფასოთ ჩვენი გაზეთის სალიტერატურო-სამხატვრო გამოცემა

ჩირაღდანი № 8

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს

განცხადება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველო აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ ამიერ-კავკასიის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 4 აპრილის დადგენილების თანახმად:

1. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებს აქვთ კანონიერი სყიდვითი საშუალების ძალა ანგარიშების გასასწორებლად მცხოვრებლებს შორის ამ წლის 15 ივნისამდე (ჩათვლით) დაწესებული კურსით (12,500,000,000 მანეთი ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით—1 მანეთს ოქროთი)
2. აღნიშნული ფულის ნიშნების სავაჭრო ანგარიშში მიღება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის კასების მიერ და აღნიშნულ კასების მიერ მათი მტკიცე ვალიუტაზე გადაცვლა იწარმოებს ამა წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით)

სავალიუტო სამმართველოს უფროსი: ა. ხაფარიანი.
ფულის ბრუნვის განყოფილების გამგე: ა. კალანტაროვი
ნ. 1035—3—1

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

ყველა საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს, საოლქო ბიუროებს და ნაციონალური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს

მოსკოვი. 15 აპრილი. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს მიმდინარე წელს პირველი მაისის დღესასწაული აღინიშნოს ფართო დემონსტრაციებით და მასიური მიტინგებით, რომლებზედაც გაშუქებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის როლი საერთაშორისო მასშტაბით. კაპიტალისტური სახელმწიფოების ნაწილის მხრივ იძულებითი ცნობასთან ერთად ჩვენ ვხედავთ მეორე მხრივ მტრული პოლიტიკის და ინტრიგების გაგრძელებას (საფრანგეთი, იაპონია, ამერიკა) მშვიდობიანობისაკენ თავისი ურყევი ნებისყოფის გამომჟღავნებასთან ერთად, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა პირველი მაისის დღესასწაულის დღეს, მთელ საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად სასტიკი პროტესტი უნდა განაცხადონ მშვიდობიანობის დამრღვევთა პოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც უკარნახებენ რუმინეთს განაგრძოს ბესარაბიის ოკუპაცია, ხელს უწყობენ პოლონეთის შეიარაღებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ხელს უშლიან ჩინეთს ჩვენთან შეთანხმებაზე ხელის მოწერაში ამ ინტრიგების გამო ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტის სიძლიერით და გარკვევით უნდა გაუსვათ ხაზი ჩვენს მზადყოფნას ყოველმხრივ გაძლიერებულით წითელი არმია.

განვლილი წელი მძიმე გამოცდათა წელიწადი იყო პროლეტარიატისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში, წელიწადი უმუშევრობის, შრომის ხელფასის შემცირების, სამუშაო დღის გადიდების, ფაშისტური ტერორის გაძლიერების. მუშათა კლასი ითვალისწინებს ამ გამოცდათა გაკვეთილს. მუშათა კლასი ვერ მოიპოვებს გამარჯვებას, სანამ ფართო მასები არ განთავისუფლდებიან მეორე ინტერნაციონალის გავლენისაგან, რომელიც საერთაშორისო ფაშიზმის ერთ-ერთ რაზმად გადაიქცა.

მუშათა კლასი გაიმარჯვებს თავისი რიგების შემჭიდროებით ერთიან ფრონტში კაპიტალიზმსა და მოლალატე სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ, თავის მხარეზე გლეხთა მასების და დაჩაგრული ერების და კოლონიების მშრომელი მასების მტკიცედ და საბოლოოდ გადმობირებით.

კავშირი გლეხობასთან ჩვენი—საერთაშორისო ლოზუნგი უნდა გახდეს ისე, როგორც წარსულ წელში, პირველი მაისის დღეს გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენს ქვეყანაში ამ კავშირის მომავალში კიდევ უფრო განსამტკიცებლად. პარტიის ამოცანას პირველ მაისს შეადგენს, რაც შეიძლება ფართოდ განმარტოს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული არიან გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისა და საგადასახადო სისტემისა და ფინანსების მოწესრიგებისაკენ.

მუშათა კლასის მიმართ პირველი მაისის დღესასწაულის დღეს პარტიამ უნდა აღნიშნოს მისი ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება მრეწველობის გამაგრებასთან დაკავშირებით იმ დროს, როცა ყოველგან, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობა უარესდება.

1924 წლის პირველ მაისს მთავრდება პარტიაში ახალი წევრების—მუშების მიღების კამპანია. საერთაშორისო მუშათა დღესასწაულის დღეს ჩვენ უნდა გავაცნოთ უპარტიო მუშებს შედეგები იმ კამპანიისა, რომელმაც გაამაგრა რ. კ. პ. მჭიდრო გულითადი კავშირი მუშათა კლასთან, გააათკეცა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძალა. გაშუქებული უნდა იქნას ჩვენი პარტიის როლი წარსულში და ამჟამად, როლი მისი დიდი დამაარსებელის და ბელადის ილიჩის—და ამრიგათ მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს მომავალში მუშების ლტოლვას პარტიისაკენ და მომავალ ძლევამოსილ ბრძოლას ჩვენი მასწავლებლის მცნებათა განსახორციელებლათ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პირველი შეხვედრა

ლონდონში გაიხსნა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მოწვეულია ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთ შორის ნორმალური დამოკიდებულების საკითხის გადასაჭრელათ.

მაკ-დონალდმა წარმოსთქვა სიტყვა, მას უპასუხა ჩვენი კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. რაკოვსკიმ. ორივე მხარე აამჟღავნებს გულწრფელ სურვილს სადავო საკითხების ურთიერთ სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის. [illegible] ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე დიდსულოვნად აცხადებს, რომ მას სწადია საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარება და ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს კონფერენციას მიაღწიოს დადებითი შედეგებს.

მაგრამ თვით საზეიმო სიტყვაშიც მოსჩანს „ყურები“ კრედიტორების, ინგლისის ბურჟუაზიის, რომლის სურვილების ამსრულებელი უნდა იყოს თავისი მდგომარეობით მაკ-დონალდი და ის ცდილობს მათი „გულის მოგებას“.

ამ უკანასკნელმა, ინგლისის ბანკირებმა, წარუდგინეს უკვე კონფერენციის გახსნამდე მაკ-დონალდს თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა პირობებში დასთანხმდებოდნენ ისინი საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემაზე. ეს კი არის ერთ-ერთ მოთხოვნათაგანი ჩვენი დელეგაციის.

ბანკირები აყენებენ ისეთ პირობებს, რომლებიც შეუძლებლად ხდის რაიმე მოლაპარაკების გაგრძელებას, თუ მაკ-დონალდის მთავრობამ თავისად გაასაღა მათი სურვილი და მხარი დაუჭირა მთლიანად მათ მისწრაფებას. მთელი აზრი ბანკირების მოთხოვნებისა მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი აიღონ სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვარზე და მოახდინონ კაპიტალიზმის სრული რესტავრაცია ე. ი. უარყონ თავიანთი თავი. თვით ლლოიდ-ჯორჯის გაზეთიც, „მანჩესტერ გარდიან“, არაჩვეულებრივი გულახდილობით სწერს, რომ ამ მოთხოვნილების კატეგორიულათ წაყენება კონფერენციაზე და მოლაპარაკების წარმოება მათ ნიადაგზე ახლავე უნაყოფოთ ხდის ამ კონფერენციის მუშაობას, რადგან ბანკირების „პირობების“ მიღება საბჭოთა კავშირისათვის მომასწავებელი იქნებოდა ამ რესპუბლიკებისათვის თავიანთი თავის სრულ უარყოფისა.

დაახლოებით იგივე აზრის არის „მუშათა პარტიის“ ორგანო „დეილი ჰერალდ“.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს მოთხოვნა ფინანსიური კაპიტალისა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგებოდა იმ ნიადაგათ, რომელზედაც მოსახერხებელია რაიმე თათბირი შეთანხმებაზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის ბურჟუაზიაში არის ორი მიმდინარეობა ჩვენ კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხში. თუ ერთის სურვილები მკაფიოთ არის გამოთქმული ხსენებულ მემორანდუმში, მეორე, უფრო ზომიერი მიმდინარეობა, რომლის აზრს თავიდანვე გამოხატავდა კერძოთ გაზ. „მანჩესტერ გარდიან“ და ლლოიდ-ჯორჯი, თავს იკავებდა და იკავებს ჯერ-ჯერობით „მაქსიმალიზმისაგან“. საკითხი იმაშია, ამ მიმდინარეობათაგან რომელი დაიმორჩილებს ეგრედ წოდებულ „მუშათა მთავრობას“, და გაიხდის მას თავისი ინტერესების გამტარებლათ მიმდინარე კონფერენციაზე.

საბჭოთა დელეგაცია გარკვეული მანდატით არის წასული ლონდონში. მუშებმა უთხრეს მას: მიაღწიეთ შეთანხმებას ურთიერთ დათმობის ნიადაგზე, რომელიც დარჩება საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისა და მის მიერ მიღწეულ მონაპოვართა ფარგლებში. სწორეთ ამ მანდატით იხელმძღვანელებს ჩვენი დელეგაცია და ვერავითარი დაშინება, მუქარა ოქროს საწყობების მსხვილი ვირთხებისა ვერ გადაახვევიებს მას გარკვეულ გზას, აღებულ გეზს ლონდონის კონფერენციაზე.

მსოფლიოსი და კერძოთ ინგლისის მუშათა კლასი კი ერთხელ კიდევ დაინახავს დღის სინათლეზე, ვის ინტერესებს იცავს მაკდონალდის მთავრობა: ინგლისის პროლეტარიატისას, რომელიც რეალურათ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამკვიდრებაში და უმუშევრობის შესუსტებაში, თუ ის ერთხელ კიდევ გაჰყვება მის ექსპლოატატორებს თვით ინგლისის მუშათა კლასისა და საბჭოთა მშრომელი მასების წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში გამარჯვებული გამოვალთ ჩვენ და არც მეორე შემთხვევაში ვიქნებით დამარცხებული, რადგან დამარცხდება ილიუზია, მუშათა პარტიის მიმდევარი მასების ე. ი. წინ წაიწევს რევოლიუციონური შემეცნება ინგლისის მუშათა კლასის და მოიგებს ამით რევოლიუცია.

რაზე ვილაპარაკებთ ინგლისის „მუშათა“ მთავრობასთან

საბჭოთა მთავრობას არ დაუვიწყებია ბრძოლის ველზე დაღუპულთა კვნესა, მშრომელი ხალხის ქვრივების და ობლების ცრემლები და ის მტკიცედ დგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე. ამ მშვიდობიანობის განმტკიცების შესახებ სურს მას პირველყოვლისა ლაპარაკი ინგლისის მუშათა მთავრობასთან. მშვიდობიანობის განმტკიცება—ეს პირველყოვლისა ნიშნავს შეტაკებათა მიზეზების მოსპობას. შეტაკებათა მუდმივ წყაროს წარმოადგენდა ინგლისის იმპერიალიზმისა და ყოფილი მეფის მთავრობის მისწრაფება აზიის სახელმწიფოთა დაპყრობისაკენ, აზიის ერების დამონებისაკენ.

საბჭოთა მთავრობამ თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე უარი სთქვა ყაჩაღობისა და მტაცებლურ პოლიტიკაზე. მან გააუქმა ძველი ხელშეკრულებანი, რომელთა საფუძველზე მეფის მთავრობა აღმოსავლეთის ნადავლს იყოფდა ინგლისთან. მაგრამ ინგლისის კაპიტალისტები სთვლიდენ, რომ სწორედ ეს მომენტი არის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სპარსეთის, ოსმალეთის და ავღანისტანის დასამონებლათ. თავისთავად ცხადია, რომ ეს პოლიტიკა ემუქრება არა მარტო დასახელებულ ერებს, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირსაც. ინგლისის ჯარები სპარსეთში, ინგლისის ჯარები მესოპოტამიაში ემუქრებიან არა მარტო სპარსელებისა და არაბების თავისუფლებას, ისინი ემუქრებიან აგრეთვე ბაქოსაც. წინსვლა ინდოეთის ჩრდილოეთის საზღვრისაკენ, ნიშნავს ინგლისის ჯარების მოძრაობას ავღანისტანისაკენ, ე. ი. მათ მოახლოებას თურქესტანთან.

თუ ინგლისის მუშათა მთავრობას სურს განამტკიცოს ზავი საბჭოთა კავშირთან, მან პირველ რიგში ლაგამი უნდა ამოსდვას თავის მტაცებლებს, თავის იუნკერებს ახლო-აღმოსავლეთში და შუა აზიაში. ინგლისის მთავრობა ხშირად სჩიოდა საბჭოთა პროპაგანდის გამო აღმოსავლეთის ერებს შორის, რომელიც მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. მის განგაშში არ იყო წმინდა ფარისევლობა. თუმცა ლორდი კერზონი თავისი ჩივილის დასასაბუთებლად ყალბი დოკუმენტებით სარგებლობდა, საბჭოთა პროპაგანდა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღმოსავლეთში არსებობდა და იარსებებს, სანამ ინგლისის კაპიტალისტები და სამხედრო წოდება განიზრახავს ძარცვას და აღმოსავლეთის ერების ჩაგვრას.

ის პროპაგანდა იარსებებს, თუ გინდ საბჭოთა მთავრობამ კლიტე დაადოს პირზე ყველა თავის წარმომადგენლებს აღმოსავლეთში; ვინაიდან, თუ საბჭოთა მთავრობა აღმოსავლეთში აწარმოებს მშვიდობიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას აღმოსავლეთის ერების მიმართ, ინგლისის მთავრობა კი მონობის უღელს ადებს ამ ერებს, ეს არის ყველაზე უძლიერესი, ყველაზე შთამაგონებელი პროპაგანდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სასარგებლოდ და ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამიტომ მშვიდობიანობის განმტკიცება აღმოსავლეთში სავსებით ინგლისის მთავრობის ხელშია. მაგრამ მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც ინგლისის მთავრობამ ხელი უნდა აიღოს საბჭოთა კავშირის მტრების დახმარების პოლიტიკაზე. მან არა მარტო უნდა სთქვას, არამედ საქმით უნდა აგრძნობინოს პოლონეთსა და რუმინეთს, რომ ის ისწრაფვის ევროპის აღმოსავლეთში საბოლოო და სამართლიანი ზავის დამყარებისაკენ. მან ხელი უნდა აიღოს ოსმალეთში ქრთამების მოყვარულთა მოსყიდვისა და მათი რუსეთზე წაქეზების პოლიტიკაზე, რასაც მუდამ სჩადიოდენ მისი წარმომადგენლები სტამბოლში.

გაძვალტყავებულ, სისხლიდან დაცლილ გერმანიას სწყურია ზავი და მშვიდობიანობა. საფრანგეთს არ შეუძლია ერთი წავიდეს ყველას წინააღმდეგ, ცოტა აქვს მას ამისათვის ფულიც და ცოტა ყავს ხალხიც. ინგლისის მთავრობის ხელშია გადაწყვეტა საკითხის ზავის განმტკიცებისა და შეიარაღების სიმძიმის შემცირების შესახებ.

კ. რადეკ

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

პარტიის მთლიანობისათვის

ბერლინი. 13 აპრილი. „როტე ფანე“ აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის მოწოდებას, რომელიც მიღებულ იქნა ფრანკფურტში არალეგალურად გამართულ პარტეიტაგის მიერ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარტეიტაგი აღინიშნა იმ შინაპარტიული კრიზისის საბოლოო ლიკვიდაციით, რომელიც გამოწვეული იყო ოქტომბრის დამარცხებით და შევიწროებით სამხედრო დიქტატურის მხრივ. **კომპარტია სრული გაჯანსაღების გზაზე სდგას.**

მოწოდება განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ კომუნისტების გამარჯვება არჩევნებზე განამტკიცებს ყველა მშრომელების ნდობას კომპარტიისადმი.

შემდეგ მოწოდება აღნიშნავს, რომ ფაშისტური მოძრაობა გადაიქცა სახიფათო მასიურ მოძრაობად და ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ გააერთიანა ყველა ძალები მსხვილი კაპიტალის დიქტატურის ქვეშ. მაგრამ **მუშების ბრძოლა მოწმობს იმას, რომ გერმანიის პროლეტარიატის ძლიერება დაუძლეველია.**

პარტეიტაგმა აირჩია ცეკა 16 კაცისაგან, რომელთა შორის 11 მემარცხენეა და სამი ცენტრის მომხრე. პარტეიტაგმა ერთხმად მიიღო მოქმედების პროგრამა და ლოზუნგი: „ერთიანი ფრონტი ქვევიდან“. პარტეიტაგმა დაადგინა, რომ არც ერთ კომუნისტს უფლება არ აქვს პარტიის კომიტეტის ნებართვის გარეშე გამოვიდეს პროფკავშირებიდან, და რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა გათიშვის ცდასთან პროფკავშირთა ბიუროკრატიის მხრივ, რომელიც ემხრობა ამსტერდამის ინტერნაციონალს. ბრანდლერის, ტალჰეიმის და ვალხერის ჯგუფს რეზოლიუციას პარტიის ამოცანების და ტაქტიკის შესახებ არც ერთი ხმა არ მიუღია. პარტეიტაგმა გადასჭრა ყველა ძირითადი საკითხი კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელთან სრული თანხმობით.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ჩვენი მოლაპარაკება ინგლისთან

გაიხსნა საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენცია.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაკდონალდმა, რომელსაც უპასუხა ამხ. რაკოვსკიმ.

გამოქვეყნდა ინგლისის ბანკირების მოთხოვნილება კონფერენციისადმი.

კონფერენციის პირველი სხდომა

ლონდონი 15 აპრილი. გუშინ შედგა ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის პირველი სხდომა.

მაკდონალდის სიტყვა

მაკდონალდმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ კონფერენცია არის დამტკიცება საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობის ფორმალურ აქტისა. თუ იურიდიული ცნობა უნდა მოასწავებდეს იმაზე მეტს, ვიდრე რაკოვსკის მოწვევა ფორმალურ კონფერენციაზე, მაშინ ორივე მხარე უნდა სცდილობდეს პრაქტიკულად განიხილოს დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც არ უნდა იქნას დამახინჯებული ერთის კალმის მოსმით ან ამა თუ იმ მხარის ცნობებით, რომელიც შედგენილი იქნება მტრული ცნობით. მთელ რიგ ფაქტების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ ზედმიწევნით შესწავლას, საჭიროა მიუდგომილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ორივე მხარის წინადადებათა გონივრული განხილვა.

კონფერენციის პირველი ამოცანა უნდა იყოს წარსულის ლიკვიდაცია. მეორე—შეთანხმების მიღწევა იმ უფლებებსა და მოვალეობათა შესახებ, რომელიც დღეს არსებობს ორივე ქვეყნებს შორის; მესამე—ხელის შეწყობა, რამდენადაც შესაძლებელია, მშვიდობიან და ნაყოფიერ ურთიერთობისათვის მომავალში. პირველ ყოვლისა ბრიტანეთის დელეგაცია შეეცდება წარმოადგინოს განსახილველად რუსეთის ფონდების შემნახველ ბრიტანელების და ბრიტანეთის იმ მოქალაქეთა პრეტენზიები, რომელთაც ქონება ჩამოერთვათ სახელმწიფოს მიერ ან რაიმე ზარალი მოუვიდათ რუსეთში მომხდარ ამბების გამო და სხვა.

„მე ვფიქრობ, განაცხადა მაკდონალდმა, რომ თქვენის მხრივაც იქნება წარმოდგენილი მრავალი პრეტენზიები და ორივე მხარემ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს მათ. მეორე რიგში მე ვაყენებ იმ ხელშეკრულებათა განხილვას, რომლებიც დასდეს თქვენმა წინამოადგილეებმა ბრიტანეთის მთავრობასთან. დღემდის არავითარი ნაბიჯები არ იყო გადადგმული იქითკენ, რაც დააკავშირებდა ორივე ქვეყანას საერთაშორისო ვალდებულებათა სახით. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რათა მოვაწესრიგოთ ყველა ეს ცოცხალი, მაგრამ მკვდრად მიჩნეული ხელშეკრულებები—ჩამოვიშოროთ ისინი, რომელთა მოშორება საჭიროა და განვამტკიცოთ ისინი, რომელთა დაცვა აუცილებელია.

მესამე ადგილი უჭირავს კომერციული შეთანხმების სავაჭრო ხელშეკრულებით შეცვლის საკითხს და იმ ბზგავს ხელშეკრულებათა ჩვეულებრივ მუხლების დამატებითი პუნქტების განხილვას, რომლებმაც უნდა აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომელთაც შესაძლებელია ადგილი ექნეს ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზაზე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციასა და მმართველობას და ჩვენს მთავრობას შორის არსებულ განსხვავებასთან დაკავშირებით.

და ბოლოს, ბრიტანეთის მთავრობას სურს სავსებით გულწრფელად იქნეს განხილული საკითხი პროპაგანდის შესახებ, არა იმ ინციდენტების განხილვაში შესვლის მიზნით, რომლებიც იყვნენ წინანდელ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი (იმ ინციდენტების, რომელთა გამართლება შესაძლებელი იქნება მით, რომ ორთავე სახელმწიფო მაშინ ხანგრძლივ და აშკარა მტრობაში იმყოფებოდენ, ერთი მეორესთან), არამედ იმის გამორკვევის მიზნით—შეიძლება თუ არა ამ სახის დაბრკოლებათა აღმოფხვრა და თავიდან აცილება ორთავე სახელმწიფოს ახალ ურთიერთობის დროს. ჩვენ არ ვსვამთ საკითხს საბჭოთა კავშირის უფლების შესახებ—დაიცვას როგორი მმართველობის ფორმაც სურს, რომელიც წარმოდგენილი აქვს მას საუკეთესოდ, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ პირველ პირობათ მეგობრულ და ნაყოფიერ ურთიერთობისა კავშირსა და ჩვენს შორის უნდა იყოს კავშირის მიერ იმ პოზიციის ცნობა, რომელსაც ვადგევართ ჩვენ და უარის თქმა იმის პირდაპირ ან არაპირდაპირ გაგრძელებაზე, რომელიც წააგავს პროპაგანდის წარმოების ცდას ინგლისის ხალხს შორის, როგორც თვით ინგლისში, ისე მის საზღვრებს გარეშე ეს საკითხი უნდა განხილულ იქნეს გადაჭრით, მაგრამ, მე იმედი მაქვს, მეგობრულ ნიადაგზე, და მჯერა, რომ სწორეთ ამ ნიადაგზე იქნება ის გადაჭრილი“.

შემდეგ მაკდონალდი შეეხო დაბრკოლებებს, რომლებიც მოსალოდნელია პირველსავე ნაბიჯების დროს. მან განაცხადა, რომ ის ლაპარაკობს, არა როგორც ინგლისის იმ პარტიის მეთაური, რომელიც გარკვევით და აშკარად მიემხრო იურიდიულ ცნობას, არამედ აგრეთვე იმ მთავრობის მეთაურიც, რომელიც მზად არის გამოიჩინოს რუსეთისადმი ყოველმხრივი ყურადღება და როგორც წარმომადგენელს იმ ქვეყნისა, რომელსაც რუსეთის მომავლისადმი რწმენის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობით ყველაზე უფრო შეუძლია დაეხმაროს მას მის ეკონომიურ აღორძინებაში იმდენად, რამდენადაც ამას ის მოისურვებს.

შეჩერდა რა რევოლიუციაზე და მის მეთოდებზე, მაკდონალდმა განაცხადა: „მე ვსთხოვ რუსეთის დელეგატებს მსჯელობის დროს კარგად დაიხსომონ ის, რომ მათი სახელმწიფოებრივი მმართველობის მეთოდები არ ჰგვანან ბრიტანეთისას“.

შემდეგ მაკდონალდი სთხოვდა რუსეთის დელეგაციას დაიხსომოს, რომ შეთანხმებები უნდა ემყარებოდენ საქმიანი ვაჭრობის ვიწრო სფეროს. კონფერენციის ჩაშლის შედეგი მეტად სერიოზულია თვითეული სახელმწიფოსათვის, რისთვისაც საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა.

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა: „თქვენ გსურთ ჩვენგან პოლიტიკური ცნობა და ფინანსიური დახმარება, ჩვენ კი გვსურს თქვენგან კეთილი მეზობლობა და საერთაშორისო ვალდებულებათა ცნობა. ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი და ეს ნაბიჯი იყო მნიშვნელოვანი. გადავდგათ ეხლა ერთად მეორე ნაბიჯი და გავამართლოთ იმ მრავალ მილიონების იმედები, რომლებიც დიდი მოლოდინით თვალყურს ადევნებენ ამ თათბირს“.

ამხ. რაკოვსკის სიტყვა

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციას ამოძრავებს გულწრფელი სურვილი სასურველად დასრულდეს კონფერენცია. დელეგატები ყოველ ძალღონეს იხმარენ ეკონომიურ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომელთა რიცხვში შედიან ისეთი საკითხები, როგორც საკითხები სამხედრო ვალების და კერძო პირთა პრეტენზიების შესახებ. ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია იქონიოს იმედი დელეგაციის კეთილსურვილების პოლიტიკურ საკითხების მიმართაც. აქ არ იქნება დაბრკოლება იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომლებიც ეხებიან ინგლისის და საბჭოთა კავშირის ინტერესებს აღმოსავლეთში, რამდენადაც ორივე მთავრობები გამოსავალ წერტილად მიიჩნევენ აღმოსავლეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენობისადმი პატივისცემის პრინციპს. რუსეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ მოლაპარაკებას აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რადგან ეს არის მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს ცდა არა მარტო ბოლო მოუღონ არსებულ გაუგებრობას მათ შორის, არამედ გამოარკვიონ პრობლემები, რომლებიც მართლაც ემუქრებიან საყოველთაო მშვიდობიანობას, რაც არის გამოსავალი პუნქტი საერთაშორისო ურთიერთობათა რადიკალურად შეცვლისათვის. განიარაღება გვესმის როგორც ბრძანებული ძალის საკითხი და საბჭოთა მთავრობა მზადაა გადადგას მომავალში გაბედული ნაბიჯები განიარაღებისაკენ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით. არ იზიარებს რა ინგლისის შეხედულებას ერთა ლიგაზე მისი დღევანდელი სახით, საბჭოთა მთავრობა მზად იქნება შეუერთდეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელშიაც შევლენ ყველა ხალხები თავისი ნებით და სრული თანასწორობის საფუძველზე. განსხვავება ინგლისის და რუსეთის სოციალურ წესწყობილების შორის ზიანს არ მიაყენებს პოლიტიკურ და ეკონომიურ მათ თანამშრომლობას. საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისს, რომ საჭიროა დაცულ იქნას ერთმანეთის შინაურ საქმეებში არჩარევის პრინციპი. ეს პრინციპი იძლევა გარანტიას, იმისას, რომ აღარ იქნება იმ სოციალურ წესწყობილების წინააღმდეგ გალაშქრების ცდა, რომელიც ორივე ხალხმა აირჩია“.

ინგლისის ბანკირების მემორანდუმი

თამაშს არ იშლიან

ლონდონი 13 აპრილი. გამოქვეყნებულია ბრიტანელ ბანკირების მემორანდუმი, რომელიც წარედგინა მაკდონალდს 10 დღის წინად საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის განახლების პირობების შესახებ.

1) ორივე ქვეყანამ უნდა იცნონ სახელმწიფოებრივი და კერძო ვალები.

2) ორივე მხარემ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას უცხოელების კერძო საკუთრების რესტიტუციის (აღდგენის) შესახებ.

3) საბჭოთა კავშირში უნდა მოქმედებდეს ნორმალური სამოქალაქო კოდექსი, მოეწყოს დამოუკიდებელი სასამართლოები, მტკიცეთ იქნას დაცული კერძო ხელშეკრულებათა ხელშეუხებლობა.

4) საბჭოთა მთავრობამ უნდა მისცეს სათანადო გარანტიები იმისა რომ მომავალში კერძო საკუთრებას აღარ მოელის კონფისკაცია სახელმწიფოს მხრივ.

5) ინგლისის ბანკირებს, მრეწველებს და ვაჭრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მთავრობის ჩარევისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოახდინონ გარიგებანი ანალოგიურ კერძო დაწესებულებებთან საბჭოთა კავშირში, რომელ დაწესებულებებსაც ხელმძღვანელობენ ისეთი პირები, რომელთაც ისინი იცნობენ და რომელთა რეპუტაციას, სიტყვას და საშუალებებს ენდობიან.

6) საბჭოთა მთავრობამ უარი უნდა სთქვას პროპაგანდაზე სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ ქვეყნების, სადაც ფიქრობს ფინანსიურ დახმარების მიღებას.

პრესის აზრი მემორანდუმის შესახებ

„ვესტმინსტერ გაზეტი“, რომელიც ლიბერალური ცენტრის ორგანოა, არ იხსენიებს მემორანდუმს. გაზეთი ესალმება კონფერენციას და აღნიშნავს, რომ არ არსებობენ გადაულახავი დაბრკოლებები შეთანხმებისათვის და რომ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერი იქნება, თუ საბჭოთა მთავრობას მართლა სურს განახორციელოს საქმიანი თანამშრომლობა, რაც რამდენიმე დღეში გამოირკვევა.

„მანჩესტერ გარდიან“ ამბობს: „თითეული მთავრობა თავის თავს ყველაზე უფრო კომპეტენტურად თვლის იმ საკითხებში **თუ რომელი სამოქალაქო კოდექსია უფრო გამოსადეგი მისი ქვეყნისთვის და რამდენათ შეუძლია მას ხელი შეუწყოს კერძო ვაჭრობას. არ შეიძლება მოვთხოვოთ საბჭოთა მთავრობას მისი სამრეწველო და კომერციული ფუნქციების შეზღუდვა. თუ ჩვენ მოვთხოვთ საბჭოთა მთავრობას ... (გამოტოვებულია), შეცვლას, შორს ვერ წავალთ“.**

„დეილი ჰერალდი“ სწერს: „ბანკირების მოთხოვნილება ნიშნავს უარის თქმას სოციალიზმზე და კაპიტალიზმის აღდგენას ერთ მთავარ დარგში. ამგვარი დოკუმენტის გამოქვეყნებამ უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩააგდოს საბჭოთა მთავრობა. ამ მიზნით არის დოკუმენტი გამოქვეყნებული. **საბედნიეროთ, თუმცა ეს ჯენტლმენები ძლიერი არიან, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მთელ სიტის*) ზოგიერთი მათი კოლეგები კი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდებიან“.**

„დეილი ჰერალდი“ მოწინავეში სწერს: „**ბანკირები ვერ შეუშლიან ხელს რუსეთისათვის ფაბრიკატების მიწოდებას.** რამდენიმე წლის კარგი მოსავალი აყვავებულ მხარედ გადააქცევს საბჭოთა კავშირს.

თუ ჩვენ უარს ვეტყვით საბჭოთა კავშირთა ვაჭრობაზე, ჩვენ დავკარგავთ ძლიერ დიდ ბაზარს ჩვენს საქონლისათვის.

თუ ბანკები დარჩებიან თავის უარის პოზიციაზე, მაშინ გამოძებნილი იქნება სხვა საშუალება მათი მონაწილეობის გარეშე ვაჭრობისათვის.

თუ ბანკები უარს ეტყვიან კრედიტზე საბჭოთა კავშირთან მოვაჭრე მსხვილ ფირმებს, არის სხვა საშუალება. 1920 წელს ინგლისის მთავრობა დასთანხმდა დასაზღვევი პრემიის მიცემაზე ინგლისის თითეული ფირმისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირთან ასეთი პრემიის მიცემა არ იქნება საჭირო. მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ჩვენ უნდა მივსცეთ. ერთმა სოციალისტურმა მთავრობამ უნდა დაიცვას მეორე სოციალიზმის განადგურების საფრთხისაგან“.

---

*) ლონდონის ფინანსიური უბანი. რედ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჰოლანდია.

ჰოლანდია იცნობს საბჭოთა კავშირს.

ბერლინი. 13 აპრილი. 24 აპრილს ბერლინში ჩავა ჰოლანდიის მთავრობის დელეგაცია, რომელიც განაახლებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. კრესტინსკისთან ნორმალურ ურთიერთობათა აღდგენის შესახებ ორივე სახელმწიფოებს შორის.

იტყობინებიან, რომ ჰოლანდიის დელეგაციას აქვს საკმაო რწმუნებები იმისთვის, რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხი საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობის შესახებ.

ფინეთი

რუსეთ-ფინეთის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია.

ჰელსინგფორსი. 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის დელეგატები, რომლებიც ჩავიდენ საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის დასადებად, შეუდგენ საფოსტო საქმის მდგომარეობის გაცნობას.

გერმანიის მშრომელები და საბჭოთა კავშირი

ამხ. რადეკის მოხსენება

მოსკოვი. 15 აპრილი. გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგის საგუბერნიო კონფერენციაზე ამხ. რადეკს თავის მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გაჰყავს ანალოგია საბჭოთა კავშირის და გერმანიის მშრომელთა მდგომარეობის შორის. **საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მიუხედავად საშინელი გაჭირვებისა, შესძლეს ხელში აღებული ძალაუფლების გმირულად შენარჩუნება.** ჩვენი დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრა ლონდონში, იწყებს მოლაპარაკებას ბურჟუაზიასთან ჩვენს მიერ წარდგენილ პირობების ნიადაგზე. **მეფის ვალებს ჩვენ არ ვიხდით, მემამულეებს—მიწებს და ფაბრიკანტებს—ფაბრიკებს ჩვენ არ ვაძლევთ.** ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მძიმეა და ჩვენ კიდევ დიდი მუშაობა გვესაჭიროება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ უკვე ჩვენი საქმის წარმატებას, ვიზრდებით და მივდივართ წინ.

გერმანიაში სხვა სურათია. გერმანიის მუშებს, გაწამებულებს 4 წლის

ბაზარი ფულის რეფორმის გატარების პირველ დღეს

საუბარი ბირჟის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელთან.

მტკიცე ფასების დაწესებას ბაზარი და მოსახლეობა სრულიად მშვიდობიანად შეხვდა.

ბირჟის განწყობილებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა.-კ. ფულის ნიშნებზე მოთხოვნილების ზრდას.

დილიდან სახელმწიფო ბანკი მიმდინარე ანგარიშში იძლეოდა ჩერვონცებს. რაც იწვევდა მიმღებთა უკმაყოფილებას, რადგან ჩერვონცები შედარებით მსხვილ კუპიურებს წარმოადგენენ და უხერხულია წვრიმალ ვაჭრობისთვის.

ეს მაჩვენებელია იმ ნდობისა, რომლითაც მოსახლეობა ეპყრობა მტკიცე კურსის დაწესებას.

ბაზარზე დიდი მოწოდებაა უცხოეთის ვალიუტის, რომელიც უკვე არ იწვევს არავითარს ინტერესს და რომელსაც ძლივს სცვლიან ოფიციალურ კურსის მიხედვით. როგორც ფასგანსაზღვრულ, ისე ფასგანუსაზღვრელ საქონლის მიმართ, შემჩნეული არ არის ბრუნვის გადიდება.

ფასები ყველა საქონელზე ხშირათ ნორმაზე ქვევით იწევს, მაგალითად, მუშკოოპი ჰყიდის შაქარს რაფინადს 34 კაპ. გირვანქას, —თუმცა ნაჭერ შაქარზე შინვაჭრობის კომიტეტის მიერ 35 კაპ. დაწესებული.

ფასების დაკლებამ სწორედ გავლენა იქონია გარიგებათა რაოდენობაზე, ე. იგი, საქონლის ბრუნვის შემცირებაზე.

ეს მოვლენა აიხსნება შემდეგი გარემოებით.

მყიდველები გაურბიან მსხვილ დარიგებათ და უცდიან საქონლის ფასების შემდეგ დაწევას.

თუ ვიმსჯელებთ პირველი დღის მიხედვით კერძო ბაზარი ვერ უძლებს სახელმწიფო ჩარევას საბაზრო ფასების მოწესრიგების საქმეში.

კერძო ვაჭრობას არ შეუძლია არ შისდიოს სახელმწიფო ვაჭრობას, რადგან ამ უკანასკნელის ხელშია მარაგი, რომლის ნაწილით სარგებლობს ბაზარი.

ბოლოს, მიღწეულია ის, რასაც სცდილობდა სახელმწიფო სავაჭრო აპარატი. **შავი ბირჟა დღეს უკვე არ არსებობს.**

შავმა ბირჟამ, რომელიც ბოლო ხანებში თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს განიცდიდა, საბოლოოდ შესწყვიტა თავისი არსებობა. საჭიროა, რომ მშრომელმა მასამ შეიგნოს ფულის რეფორმის მნიშვნელობა და თვით გახდეს რეფორმის ცხოვრებაში გამტარებელი. შემდეგში ჩერვონეცის კურსი არ გამოცხადდება, ხოლო უცხოეთის ვალიუტა გამოანგარიშებული იქნება ოქროს ვალიუტით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კოლექტიური ანგარიში მოკავშირე მძარცველებს.

მოსკოვი. 14 აპრილი. იმ ყოფილ რუს ემიგრანტების საინიციატივო ჯგუფმა, რომლებიც იყვნენ საფრანგეთის არმიაში და მოითხოვდენ რუსეთში დაბრუნებას, რის გამოც განიცდიდენ დევნას, მიმართა ყველა აღნიშნულ მოქალაქეებს დაუკავშირდენ მას ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოების საშუალებით ყოფილ მოკავშირეთა მთავრობებისათვის კოლექტიური ანგარიშის წარსადგენად.

პარტიაში შედიან.

მოსკოვი 12 მარტი. 8 აპრილამდე შემოსულია 12285 მუშის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. მიღებულია 7,221, არ იქნა მიღებული—1,281.

ჯაშუშების გასამართლების გარშემო

კიევის „მოქმედების ცენტრის" საქმე უმაღლეს ინსტანციაში.

კიევი. 14 აპრილი. „მოქმედების ცენტრის" საქმის შესახებ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა შესერებულია. საქმე მოითხოვა უზენაესი სასამართლოს პროკურორმა და ის უკვე გადაიგზავნა ხარკოვში.

ბრალდებულთა ჯგუფის განცხადება.

კიევი. 14 აპრ. ბრალდებულთა ერთმა ჯგუფმა ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი თავზარდაცემული არიან მძიმე განაჩენით, მათ მაინც **დაუშვებლად მიაჩნიათ უცხო სახელმწიფოების ჩარევა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში; ბრალდებულები თავიანთ ბედის საბოლოო გადაწყვეტას მოელიან რესპუბლიკის უზენაესი ორგანოებისაგან.** ერთერთმა ბრალდებულმა—ონიშჩენკომ ამ განცხადებას დაუმატა: „პასუხისმგებლობა სასტიკი განაჩენისათვის ზიდოს მათმა სინიდისმა, ვინც ჩვენ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ბრძოლაში, და მძიმე ბოროტმოქმედთ გაგვხადა ჩვენ მშრომელების თვალში და აგრეთვე ჩვენი საკუთარი სინიდისის წინაშე".

საპროტესტო დემონსტრაცია.

კიევი. 14 აპრ. კიევში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია პუანკარეს მიერ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოვიდნენ პროფესორები, რომლებმაც კიევის მთელი პროფესურის სახელით განაცხადეს, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იქნება დაიცვას თავისი საზღვრები, მაშინ პროფესურა შესძლებს შესცვალოს წიგნი ბრძოლის სხვა იარაღზე. კიევის ქალაქის საბჭო რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველის მხრივ დაეხმარება იმ ინტელიგენციას, რომელიც პატიოსნათ ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის მუშებთან და გლეხებთან ერთად. იტყობინებიან, რომ მეცნიერების მუშაკთა ასეთივე საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ეკატერინოსლავში, პოლტავაში და ოდესაში.

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის კომისია აფხაზეთში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

8 აპრილს ღამით გემ „პესტელით" სოხუმში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ალამალი ოღლი, ცაკის მდივანი შავერდოვი და ამხ. ქვანია.

მეორე დღეს ადგილობრივმა ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენებები აფხაზეთის საკურორტო საკითხებზე, სახალხო განათლებაზე, მიწის რეფორმაზე და სხვა.

10 აპრილს დილით ამხ. ალამალი-ოღლიმ და შავერდოვმა ინახულეს ამხანაგი ტროცკი, რომელიც იმ დღეს მოემზადებოდა ტფილისისკენ. ტროცკისთან გამომშვიდობების შემდეგ კომისია დაუყოვნებლივ აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. შანბასთან და აფხაზეთის იუსტიციის კომისარ ვარდანიასთან ერთად გაეშურა სოხუმიდან გაგრისკენ, სადაც დარჩა ღამით პრინც ოლდენბურგსკის ყოფილ სასახლეში, რომელიც იმყოფება საკურორტო მართველობის გამგეობაში. ოთხსართულიანი სასახლე ამართულია თეთრ კლდეში ზღვის პირიდან 150—200 ნაბიჯზე დაშორებით. მთიან კლდეში გაყვანილია შავი ზღვის რკინის გზის გვირაბი, რომელიც გაკეთებულია ომის დროს. რკინის გზა სულ ზღვის პირათ მიდის, მხოლოდ იშვიათად სცილდება მას ორი-სამი ვერსით ან კიდევ უფრო ნაკლებით და შედის მთებში, სადაც ხშირად რამდენიმე ვერსის მანძილზე გამართულია გვირაბები, ხიდებიც მეტწილად დანგრეულია: აფხაზეთის ამხანაგები შუამდგომლობენ, რათა ეს გზა დამთავრდეს, რაც მეტად გამოაცოცხლებს ამ ქვეყნის თვალწარმტაც სანაპიროებს, რომელთა უმეტესობა ძვირფას საკურორტო ადგილებს წარმოადგენენ.

გაგრაში უკვე ნელნელა იწყებენ თავის მოყრას ავადმყოფები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან. მალიარიის შემთხვევები ძალიან შემცირებულია 2 პროცენტამდე. მამულში კურორტისთვის საჭირო მრავალი დაწესებულებაა. პარკი შადრევნებით, სასტუმროები, ელექტრო სადგური, წყალსადენი და სხვა. აქვე მუშაობს ქარხანა, რომელშიაც ბზიდან (САМШИТ) მზადდება მაქოები რუსეთის საფეიქრო ქარხნებისთვის. ამ დაწესებულებათა დათვალიერების შემდეგ კომისია გაემგზავრა აფხაზეთის საბჭოთა რუსეთის საზღვარზე.

12 აპრილს საღამოს კომისია სოხუმში დაბრუნდა. გზაზე ინახულა ოლდენბურგის ყოფილი მამული „ოტრადნოე", საბჭოთა მეურნეობა „იგუმნოვო" და სხვა.

გუდაუთის მახლობლათ სოფელ ლიხნაში, კომისიას შეხვდა გლეხობა; რომლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთათვის ბაზრის უქონლობა; გასული წლის თამბაქო დღესაც გაუსაღებელია; ღვინოზე აქციზი მათი სიტყვით ღვინის ფასს უდრის, არც სიმინდს აქვს გასავალი.

ამხ. ალამალი ოღლი დაპირდა გლეხობას ყველა მათი მოთხოვნილებათა განხილვას და შეძლებისამებრ მათ დაკმაყოფილებას.

ამავე დღეს კომისიამ ინახულა ახალი ათონის მონასტერი, რომელიც მშვენიერ ადგილზე, სოხუმიდან 20 ვერსის მანძილზე მდებარეობს ზღვის პირათ. ათონის მეურნეობის უმთავრესი დარგებია: მანდარინების კულტურა, ზეთისხილი, მევენახეობა და მებაღეობა. მონასტერში დღესაც იმყოფება 350-დე ბერი, რომლებიც ამუშავებენ მამულს სივრცით 800 დესეტინამდე. მოსავლის 10 პროც. იღებს აფხაზეთის მთავრობა, რომლის შემოსავალი ათონის მამულიდან გასულ წელს აღწევდა 10,000 მანეთამდე. ამ დღეებში აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს დაუნიშნავს მამულის გამგეთ გამოცდილი სპეციალისტი ბრენერი. ამას წინათ მამული დაუთვალიერებია ამხ. ტროცკის.

მონასტერში თავმოყრილ ბერთა რიცხვი თანდათან მცირდება, 900 კაციდან დარჩენილა მხოლოდ 350, რომლებიც დღესაც ძველებურათ განაგრძობენ წირვა-ლოცვას და „ღვთის მსახურებას".

ათონიდან კომისია სოხუმში დაბრუნდა, საიდანაც ის დრანდისკენ აპირებს გამგზავრებას, გულრიფშის სანატორიუმის დასათვალიერებლად და გლეხთა მდგომარეობის გამოსარკვევათ. აფხაზეთიდან კომისია გაემგზავრება ქიათურისაკენ.

ი. ბუაჩიძე.

12 აპრილი
სოხუმი.

P. S. ამ დღეებში ლენინგრადიდან სოხუმში მოელიან პროფესორ ნ. მარს, რომელსაც აფხაზეთის ცაკისგან დავალებული აქვს აფხაზური ანბანის შედგენა ლათინურით.

ი. ბ.

ლენინის დაბადების დღისათ

მუშათა და წითელარმიელთა კლუბების საყურადღ

22 აპრილი—ვ. ი. ლენინის დაბადების დღე—საჭიროა აღინიშნოს ყველა მუშათა და წითელარმიელთა კლუბებში შემდეგნაირად.

ამ დღისათვის უნდა დამთავრდეს ლენინის სახელობის დაწესებულებათა მოწყობა და მოხდეს მათი საზეიმო გახსნა.

საზეიმო სხდომებზე კლუბებში გაკეთებულ იქნას მოხსენება ვლადიმირ ილიჩის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

საზეიმო სხდომების შემდეგ სასურველია დაიდგას პიესა „Таинственный шалаш" (მოთავსებულია პიესების კრებულში ქალაქის კლუბებისათვის „კრასნაია ნოვ"-ის გამოცემა და კრებულში „ჟელეზნაია კოგორტა"—რუსეთის კომპარტიის 25 წლის თავისათვის). ან დიმოვის პიესები „75 წლის ლენინის გარდაცვალების შემდეგ". („Через 75 лет после смерти Ленина").

გარდა პიესებისა სასურველია საკონცერტო პროგრამას შეერთება სათანადო შინაარსით.

საკონცერტო პროგრამის შესადგენად საჭიროა ისარგებლოთ შემდეგი მასალით: გუნდისათვის „მოგილა ლენინსკაია" (სიტყვები ბეზიმენსკის, მუსიკა ლობაჩევის, გამოცემა „სახგამის" ფასი 30 კაპ.) სამგლოვიარო მარში ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო „Ты умер, товарищ, на славном посту". მელოდეკლამაციისათვის „Великому из Великих" ნოტები „სახგამში".

მხატვრულად წასაკითხავა [illegible] ლენინი", „Рисунок пером" და სხვა მოთხრობები კრებულიდან „ლენინი" გამოც. „ახალ[illegible] მუშა" ხარკოვში. „Мужиц[illegible] Ленино", სეიფულინასი ნოვ. წიგნ. 1—1924 წ.).

დეკლამაციისათვის ლექ[illegible] კრებულიდან „ლენინი" „ახალგაზრდა მუშა" ხარ[illegible] ლექსები კრებულიდან: [illegible] пет", გამოც. „თანამედრ[illegible] ლექსები" „Ленинскому [illegible]" დემიან ბედნის ლექსი, და სხვა ლექსები ჟურნალებიდან.

ყველა კლუბებმა უნდა [illegible] შემდეგი კრებულები: „პ[illegible] ბული ქალაქის კლუბებისა[illegible] გამოც. „კრასნაია ნოვ", კრებული „Ленина пет[illegible] „თანამედროვე პრობლ[illegible] ნი"—კრებული გამოც[illegible] გაზრდა მუშა" ხარკოვში. [illegible] ლი წიგნების შეძენა შეიძ[illegible] ქოთა რუსეთის „სახგამის[illegible] ზიებში, ზაკკნიგაში და [illegible] ნათლების მთავარ სამმართ[illegible]

საქართველოს კომპარტ[illegible] კომიტ. სააგიტ საპროპაგ[illegible]
გამგე—მ. ცხხენი.

საკლუბო საბჭოს თავ[illegible]
ი. ჭელიძე.

საკლუბო საბჭოს მდივ[illegible] ბერძე.

ომით, შეეშინდათ რევოლიუციონური გზის და ისინი გაჰყვენ სოციალ-დემოკრატებს. **სიკვდილი სცელავს მშრომელთა რიგებს. ჭლექი და ცინგა ყოველდღიურ მოვლენად იქცნენ.** გერმანიაში გაფთრებული სამოქალაქო ომის, საბჭოთა კავშირში კი პროლეტარიატმა შექმნა წითელი არმია და საგანგებო კომისია, გერმანიაში ხელისუფლების სათავეში არის ბურჟუაზია, რომელმაც შექმნა თეთრი არმია და თეთრგვარდიელთა „ოხრანკა". მუშები სოციალ-შემთანხმებლების წყალობით განიარაღებული და ბედის ანაბარად არიან დატოვებული. ისინი ეხლა ამჩნევენ თავიანთ შეცდომას. ამ წლებში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაიზარდა გერმანიის კომპარტია, რომელსაც ამჟამად ჰყავს 300,000-ი წევრი.

ინგლისის „მუშათა" მთავრობა და კომპარტია

მთავრობა და მისი ჯაშუშები

ლონდონი. 13 აპრილი. ლონდონში სენსაცია მოახდინა პოლიციის ორი ჯაშუშის აღმოჩენამ კომპარტიის ლონდონის ორგანიზაციის კონფერენციაზე. კონფერენცია სწარმოებდა იმ დარბაზში, რომელშიაც ჩვეულებრივად იმართებოდა სათეატრო წარმოდგენები. კონფერენციის თავმჯდომარემ ხაუკინმა აღმოაჩინა სცენაზე „ლიუკი" (ჩასასვლელი), რომელიც თავისუფლად იღებოდა. „ლიუკს" ქვემოთ სპირალისებური კიბე, კიბეზე ჩასვლის შემდეგ დელეგატებმა აღმოაჩინეს პატარა ოთახი, სადაც მაგიდასთან იჯდა ორი კაცი, რომელთაც თან ჰქონდათ საჭმელი, გაზეთები და სტენოგრამები. დელეგატების მიერ დაპატიმრებულმა ჯაშუშებმა ამაოდ სცადეს გაქცევა, დაიწყეს ყვირილი, უძახოდენ პოლიციას დასახმარებლად. პოლიციისათვის გადაცემის შემდეგ ჯაშუშები აღმოჩნდენ „პოლიციის მოსამსახურეები".

კომპარტიის ცეკას წევრები აცხადებენ, რომ ეს ინციდენტი არის ინგლისის მუშათა მოძრაობაში პირველი უშუალო მაჩვენებელი პოლიციის მეთვალყურეობისა. კომპარტიამ სცადა ეცნობებია ეს საქმე შინაგან საქმეთა მინისტრის ჰენდერსონისთვის, მაგრამ ამაოდ. ეს საკითხი ალბად დასმული იქნება პარლამენტში.

საფრანგეთი და რუმინეთი

დემონსტრაცია გერმანიის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ბერლინი 13 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, პარიზში რუმინეთის მეფის ჩასვლის მიზანი არის საკავშირო ხელშეკრულების დადება რუმინეთსა და საფრანგეთის შორის საფრანგეთი დაეხმარება რუმინეთს არმიის გადახალისებაში.

ხელშეკრულების დადების განზრახვას უცქერიან, როგორც დემონსტრაციას გერმანიის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საფრანგეთის წინააღმდეგ

სირიელების შეტაკება საფრანგეთის ჯარებთან.

ანგორა. 13 აპრილი. ადანის პრესა იტყობინება სირიელების და საფრანგეთის ჯარების შეტაკების შესახებ. ნორმალური კავშირი ქალაქებს შორის შეწყვეტილია, შესაძლებელია, რომ მეამბოხეებმა დაიკავონ ქალაქი ალექსანდრეტა. მეამბოხეებმა ალეპის რაიონში დაიკავეს სოფელი ზემანიკი და მოჰკლეს საფრანგეთის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ანტაკიის, ნინბაკლის და კარადაგის რაიონებში ფრანგები საშინლად ავიწროებენ მოსახლეობას, რომლის სიძულვილი ფრანგებისადმი თანდათან იზრდება. მოსალოდნელია დიდი ამბები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ფასების დაწევა.

ბაქო. 14 აპრ. შესდგა შინაური ვაჭრობის კომისიის სხდომა სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით მასიური მოხმარების პროდუქტებზე ფასების დაწესების საკითხის მოსაგვარებლად. კრებამ დაადგინა დაწესებულ იქნეს შემდეგი საწვრიმალო ფასები: ფქვილი 1 ხარისხის—3 მ. 10 კ., მეორე ხარისხის—2 მ. 60 კ., მესამე ხარისხის—1 მ. 90 კ. „რაზმოლი"—2 მ. 10 კ.; პურის პირველი ხარ.—7 კ., მეორე ხარ.—6 კ., მესამე ხარ.—4 კ.; მარილი კოლპინის 38 კ. ფუთი, [illegible] ფქვილი—2 ნ.ხ. კ. გირვანქა, ადგილობრივი მარილი—20 კ.; შაქარი—29 კ. დირ, თეთრი ფქვილი—26 კ.; ბრინჯი—8 კაპ. გირვანქა დამარილებული სელდი—8 კაპიკი გირვანქა; მზესუმზირის ზეთი—20 კაპ., ასანთი—15 კაპ. ერთი შეკვრა, ნავთი აქციზით—მანეთი ფუთი, თამბაქო 1 ხარ.—2 მან. გირვანქა, მეორე ხარისხის—1 მან. 65 კაპ.

მანუფაქტურის შესახებ მიღებულია საფეიქრო სინდიკატის პრეისკურანტი დამატებით ბითუმად გაყიდვის დროს 6 პროცენტისა სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის და 10 პროცენტის კერძო ვაჭრობისათვის. შინაური ვაჭრობის კომისიამ გადასწყვიტა ამიერ კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილება მიღებულ იქნეს 10 პროცენტის მომატებით საწვრიმალო ვაჭრობისათვის. აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე ნავთზე და მარილზე აქციზის შემცირების შესახებ.

ბაქოს აღმასკომთან დაარსდა ფასების დასაწევად კომისია, რომელშიაც შედიან შინაური ვაჭრობის კომისიის, ბაქოს საბჭოს, აზერბეიჯანის, პროფკავშირთა საბჭოს, სამთომადნო მუშათა კავშირის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის და ბაქოს კავშირის წარმომადგენლები. შინაური ვაჭრობის კომისიამ დაგზავნა ცირკულიარები მაზრებში ადგილობრივ კომისიების მოწყობის და პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების დაწევის შესახებ.

სომხეთი

უმაღლესი ტიპის სკოლები.

ერევანი 14 აპრილი. ეჩმიაძინში გაიხსნა უმაღლესი ტიპის სკოლა, რომელშიაც დადიან პარტიულები, ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები და მუშები.

ლენინაკანი. 14 აპრილი. მარტში გაიხსნა უმაღლესი ტიპის სკოლა, რომელშიაც შედის 3 ჯგუფი 140 მოწაფით.

პარტიული ცხოვრება

ფულის რეფორმის ჩასატარებლად

ყველა რაიკომებს

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 16 აპრილიდან დაიწყოთ ფართო კამპანია მუშათა მასების გასაცნობათ ფულის რეფორმასთან, რისთვისაც წინადადება გეძლევათ მომავალ კვირის განმავლობაში გამართოთ მთელი რიგი მუშათა კრებებისა, რომლებზედაც უნდა იქნას გაკეთებული მოხსენება ფულის რეფორმის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი მობილიზაციით იწვევს ამ კამპანიის ჩასატარებლად შემდეგ ამხანაგებს: მ ორახელაშვილს, მიანიკოვს, გუსეინოვს, გენკინს, სემკოვს, ერქომაიშვილს, ივანიანს, ლომინაძეს, კახიანს, რუბენს, ყურულოვს, ელისაბედაშვილს, ღლონტს, შირვანსკის. შვარცს, ჯულელს, ჩხენკელს.

მომხსენებელთა რიცხვის სიმცირის გამო, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს შეძლებისდაგვარად შეაერთონ წარმოებები საზოგადო კრებების გასამართავად მუშათა კლუბებში.

რაიკომები წინასწარ უნდა მოელაპარაკონ თბილისის კომიტეტის სააგიტ საპროპ. განყოფილებას კრებების გამართვის ადგილის შესახებ მომხსენებლების [illegible]ვად.

თბილისის კომ. მდივანი
თბ. კომიტ. სააგიტ. სა
განყოფ. გამგე—მ.

აფხაზეთი

(პარტ-ორგანიზაციების მდგომარეობის და მუშაობის მოკლ[illegible]ხილვა ა. წ. იანვარ-თებერვლის განმავლობაში)

აფხაზეთის საოლქო კომიტეტი აერთებს ოთხ მაზკომს და 1 რაიკომს. 42 უჯრედის და 408 წევრთა საერთო რიცხვით. მაზკომების შემადგენლობა და მუშაობა სუსტია სათანადო მუშაკების უქონლობის გამო და მასთან საბჭოთა ორგანოების სუსტი შემადგენლობის გამო. მათი მუშაობის სიმძიმე მთელად აწევია მაზკომებს. ამ მხრით უფრო ჩამორჩენილი არიან სამურზაყანოს და გაგრის მაზრები, რისთვისაც ოლქკომს მოუხდა ორი ინსტრუქტორის გადაგზავნა გაგრაში და სამაგიერო დანაკლისის შევსება ოლქკომში. სამურზაყანოსთვის კი ვერ იქნა გამონახული ამხანაგი, რომელსაც უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ენა, რის გამო პარტიული მუშაობა მოდუნებულია, რაც გავლენას ახდენს სხვა დარგებზედაც.

ახლად შეიქმნა ორი ახალი უჯრედი. ერთი სოხუმში, მეორე კი კოდორში, რომელიც გაერთიანდა მილიციის უჯრედთან. პარტიული რიგებიდან წამოყენებული იქნა 16 ამხანაგი, რამაც შეასუსტა ადგილებზე პარტიული მუშაობა უმეტესად გუდაუთის და კოდორის მაზრებში. ამ გარემოებამ ოლქკომი აიძულა დაეარსებია მაზრის ცენტრებში სოფლის უჯრედთა მდივნებისთვის ორკვირეული კურსები, სადაც გატარდენ აგრეთვე ბიუროს წევრებიც მთელი რიცხვიდან 6 უჯრედის გამოკლებით. კურსები ჩატარდა ოლქკომის ინსტრუქტორების უშუალო ხელმძღვანელობით, გარდა კოდორის მაზრისა, სადაც ეს დავალებული ჰქონდა მაზკომ[illegible] ვანს, ამ კურსებმა გამოი[illegible] გი შედეგები ამხანაგებ[illegible] დიგბაში, რაც საშუალებ[illegible] დანაკლისის შევსებისას.

ადგილებზე მიმაგრებულ[illegible] გები ყოველკვირეულად ა[illegible] ბენ უჯრედებს, გარდა [illegible] სადაც მომხ. ამხანაგის [illegible] მიმაგრება არ არის გ[illegible] ბული. მაზკომებთან ყოვე[illegible] იკრიბება თათბირზე უჯრე[illegible] ვნები და მიმაგრებული [illegible] სადაც არჩევენ და ამტკი[illegible] კომის სამუშაო გეგმას, რა[illegible] ლებას აძლევს ამხანაგებს [illegible] რივი მუშაობა შეუთანხმონ [illegible] გეგმას და თან გაითვალისწ[illegible] ვიანთი ნაკლი. ასეთი თ[illegible] საანგარიშო პერიოდში მოხ[illegible] ჯერ.

გარდა მიმაგრებულებისა[illegible] ლებს პერიოდულად ათვა[illegible] ოლქკომის წევრები, რაც იძ[illegible] რედებთან დაკავშირების [illegible] ნაკლულევანებათა აღმოფხ[illegible] შეძლებას.

სამურზაყანოს და გაგრის [illegible] ბში ადგილი ჰქონდა პარტ[illegible] ლინის დაცემას, რაც გამოი[illegible] გიერთი წევრების მიერ გა[illegible] კენ და სიმთვრალისკენ მიდ[illegible] ბაში.

ქ. სოხუმის პარტიული [illegible] ველთვის ენერგიულად [illegible] უარყოფითი მოვლენებთან [illegible] წევრთა შორის სასტიკ [illegible] როგორიც არის გადამეტება[illegible] ხურის ბოროტათ გამოყენება[illegible]

საფრანგეთის კომპარტია ლენინიზმის დროშის ქვეშ

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლიუციები *)

საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა

რურის ოკუპაცია—საერთაშორისო კაპიტალის ეს ახალი გამოსვლა მუშათა კლასის წინააღმდეგ—საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიას უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ბაზარზე, ამასთანავე ეს ოკუპაცია დეფიციტის ახალი მუხლია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არა აქვს საშუალება, რომ თავი დაიხსნას შექმნილი მდგომარეობიდან, ამიტომ ის იძულებულია მიმართოს ფულის ნიშნების ინფლიაციას, ეს უკანასკნელი კი კაპიტალისტებისათვის, რეალურ ღირებულებათა მეპატრონეებისათვის უდიდესი მოგების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს მეორეს მხრივ კი ინფლიაციის უშუალო შედეგია ფრანკის კურსის დაცემა, ცხოვრების გაძვირება, წვრილი ბურჟუაზიის გაღატაკება; ინფლიაცია უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე იმათზე, ვისაც განსაზღვრული შემოსავალი აქვს და ან ვინც ჯამაგირს იღებს. მაგალითად, წვრილი რანტიე, პენსიონერები და მოხელეები. შრომის ხელფასის მიცემა იმ ფულის ნიშნებში, რომელიც ყოველდღე ეცემა, აუტანელ მდგომარეობაში აგდებს აგრეთვე მუშათა კლასს, ეს კი ახლო მომავალში ნიადაგს მოუმზადებს ბრძოლას ფართო მასშტაბით.

პასუხისმგებლობა მდგომარეობის გართულებისათვის ეკისრება ნაციონალურ ბლოკს, რომელიც 1919 წლიდან ითვლება ბურჟუაზიის საპარლამენტო ორგანოთ.

მსხვილი კაპიტალისტების ერთი ნაწილი გრძნობს, რომ შექმნილ პირობებში დემოკრატიას არ შეუძლია გადაწყვიტოს რაიმე პრობლემა, მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი აშკარა მომხრეებიც კი, ამიტომ კაპიტალისტების ეს ნაწილი მოითხოვს, რომ მას დაუყოვნებლივ მიენიჭოს აშკარა დიქტატურის უფლება. მოხერხებული დემაგოგიის საშუალებით ის სცდილობს გააერთიანოს თავის გარშემო წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალისტური ელემენტები, და ამრიგად რაზმავს საფრანგეთის ფაშისტურ პარტიის პირველ რიგებს.

მსხვილი კაპიტალისტების მეორე ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ მიჰყვება წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა, გრძნობს ნაციონალური ბლოკის აუცილებელ დამარცხებას, და სცდილობს განამტკიცოს და გააფართოვოს თავისი კონტრ-რევოლიუციონური ბაზა; ის სცდილობს გამონახოს ისეთი პოლიტიკური ფორმულა, რომელიც საშუალებას მისცემს მას კიდევ უფრო მტკიცედ დაუკავშირდეს რეფორმისტულ ძალებს, რომ ამითი გააგრძელოს თავისი კლასიური ბატონობა პროლეტარიატზე.

ეს—მემარცხენე ბლოკია.

მემარცხენე ბლოკი იძულებული იქნება აწარმოოს ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც აწარმოებს ნაციონალური ბლოკი, რადგან ის უეჭველათ დარჩება ბურჟუაზიის ორგანოთ და ის დაყენებული იქნება იმავე პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და ფინანსიურ პრობლემების წინაშე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს პრობლემები უფრო მწვავეთ იქნება დასმული.

შესაძლებელ რყევის პერიოდის შემდეგ, როდესაც შეკავშირებული მუშების ძალა თანდათან გაიზრდება, ნაციონალური ბლოკი იმ მიზნით, რომ გადაწყვიტოს მის წინაშე წამოყენებული მწვავე პრობლემები, იძულებული იქნება აწარმოოს უფრო და უფრო გადამწყვეტი ანტი პროლეტარული პოლიტიკა! ეს კი გამოწვეული იქნება იმით, რომ მუშათა კლასის ძალების გაძლიერებული ზრდა საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებს გაბატონებულ კაპიტალისტებს, რომელნიც ვეღარ შესძლებენ აუცილებელ საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას მშრომელთათვის.

აი ამიტომ კომპარტიამ მემარცხენე ბლოკის წინააღმდეგ ისეთივე გააფთრებული ბრძოლა უნდა აწარმოოს, როგორსაც აწარმოებს ის ნაციონალური ბლოკის წინააღმდეგ.

სასოწარკვეთილება, რომელსაც გამოიწვევს მუშათა კლასისა და წვრილ მშრომელებს შორის მემარცხენე ბლოკის მიერ გამოღვიძებულ ილიუზიების დამარცხება გზას გაუხსნის ფაშიზმს, თუ იმ წამსვე კომპარტიამ მშრომელთა მასებში არ დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, ამასთანავე კომპარტიამ რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაიწყოს ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა ძალების გაერთიანება თავის რიგებში იმ მიზნით, რომ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ფაშიზმს და დაამხოს რევოლიუციონურის გზით კაპიტალისტების ბატონობა.

კომპარტიის ტაქტიკა

საფრანგეთის იმპერიალიზმის განსაკუთრებული მდგომარეობა ევროპული კონტრ რევოლუციის ავანგარდში, კომპარტიის წინაშე აყენებს დაუყოვნებლივ ამოცანას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: საფრანგეთის კომპარტიამ ცენტრალური ევროპის სხვა მოძმე პარტიების და დაჩაგრულ კოლონიალურ ხალხთა წარმომადგენლების თანხმობით უნდა დაიწყოს სასტიკი ბრძოლა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა მის კოლონიალურ ტერიტორიებზე, კერძოთ კი რურში და მაროკოში.

იმპერიალიზმის, მემარცხენე ბლოკის და ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, „ერთიანი ფრონტის" ტაქტიკა, რომელიც დაცდილია მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ სამი წლის მუშაობის განმავლობაში, პროლეტარული ბრძოლის ყველაზე უფრო პრაქტიკული, ყველაზე უფრო სწორი ფორმულა იქნება. ეს არის რევოლიუციის ტაქტიკა. როგორც მუშათა მთავრობა ჩვენთვის მხოლოდ გარდამავალი დემოკრატიული ფაზაა, ისევე ერთიანი ფრონტის ტაქტიკა არ არის დემოკრატიული კოალიცია ანდა კავშირი ესდეკების ლიდერებთან, ეს მხოლოდ დროებითი შეთანხმებაა განსაზღვრული მოქმედებების მოსახდენათ. ის არის მხოლოდ აგიტაციის და რევოლიუციონური მობილიზაციის მეთოდი. კომპარტიამ უნდა უარყოს „ერთიანი ფრონტის" ყოველგვარი სხვანაირი გაგება, როგორც ოპორტიუნისტული.

კომპარტიამ, სხვა ორგანიზაციებთან შეერთებული მოქმედებების დროს, ყოველთვის უნდა დაიცვას თავისი საკუთარი სახე, და ის მუშაობა მოქმედებები, რომელშიაც მონაწილეობას იღებს კომპარტია, ყოველთვის უნდა დაუკავშიროს კლასიური ბრძოლის განვითარებას

პარტიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მუშურ-გლეხური ბლოკის ტაქტიკა, რომლის საშუალებითაც აერთიანებს პარტია მასებს თავისი რევოლიუციონური მიზნების გარშემო, საარჩევნო კამპანიის დროს სავსეა რეფორმისტული გადახრის სერიოზული საშიშროებით, ამიტომ პარტიამ წინდაწინვე უნდა უზრუნველყოს თავისი თავი ამ საშიშროებისაგან.

გასული წლის განმავლობაში მიუხედავად მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებებისა, რომელიც მიღებული იყო იმ მიზნით, რომ გადატანილიყოფილიყო აგიტაცია მუშათა მასებში პრესისა, თეზისებისა და მფრინავი ფურცლების საშუალებით, მიუხედავად იმ მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებებისა, რომელთა მიზანი იყო რეფორმისტების კლასიური ღალატის შეუბრალებელი კრიტიკა,—აღმასრულებელ ორგანოებს ძალიან ხშირად „ერთიანი ფრონტის" ტაქტიკა ცალმხრივათ ესმოდათ.

რაც უფრო ფართოდ და ღრმად შეიჭრება კომპარტია ერთიანი ფრონტის ტაქტიკაში, მით უფრო სასტიკად უნდა იბრძოლოს მან თავის რიგებში იმ გონებრივი ნაშთების და ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია რეფორმისტული და სოციალ დემოკრატიული სულის აღდგენა პარტიაში, ის უნდა ებრძოლოს ერთიანი ფრონტისაგან გადახრის საშიშროებას.

მხოლოდ ასეთი შეუპოვარი ბრძოლით მარჯვნიდან მოსალოდნელ საშიშროების წინააღმდეგ, შინაური ბრძოლით იმ პარტიის რიგებში, რომელიც ტრიალობს კაპიტალიზმის მატერიალური და იდეოლოგიური გარყვნილების წიაღში,—კომპარტიას შეუძლია არა მარტო მოაგონოს მშრომელ მასებს რეფორმისტული ბელადების წინანდელი ღალატი, არამედ გამოამჟღავნოს მათი ეხლანდელი ღალატიც. კომპარტია ამით ხელს შეუწყობს მებრძოლ მასების განვითარებას და შეაგნებინებს მათ, რომ ყოველი მათი მორიგი ბრძოლა შეიძლება ნაყოფიერი გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ ის ნიადაგს უმზადებს გენერალურ ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ამჟამად დაწყებული საარჩევნო კამპანია, —პირველი კამპანიაა, რომელიც დაიწყო საფრანგეთის კომპარტიამ მისი რიგებიდან ოპორტიუნისტული და შემთანხმებელი ელემენტების განდევნის შემდეგ.

საარჩევნო კამპანიებს, რომელთაც წინეთ აწარმოებდა სოციალისტური პარტია, მიზნათ ჰქონდათ რაც შეიძლება მეტი ადგილების მოპოვება პარლამენტში. ასეთს შედეგს ის აღწევდა საარჩევნო კომბინაციების საშუალებით ბურჟუაზიულ პარტიებთან. ეს მუშათა კლასის ფართო მასებში იწვევდა სრულიად კანონიერ უნდობლობას პარტიის პოლიტიკის მიმართ; ეს უნდობლობა კი ნიადაგს უმზადებდა იმას, რომ პროლეტარიატი პოლიტიკური საკითხებიდან თანდათან გადადიოდა წმინდა სინდიკალურ (პროფკავშირულ) ამოცანებზე.

ამჟამეთ ფართო მასშტაბით დაწყებულ საარჩევნო ბრძოლაში კომპარტიამ უნდა გამოაშკარავოს თავისი რევოლიუციონური ხასიათი და თავისი პოლიტიკური სახე.

საქმე იმაში კი არ არის, რომ პარტიამ მიიღოს საპარლამენტო ადგილების დიდი რაოდენობა. პირველ ყოვლისა, საარჩევნო კამპანიის დროს აუცილებელია, რომ გადატანილი იქნეს მშრომელთა მასებში კომუნისტური აგიტაცია მუშების და გლეხების დაუყოვნებლივი მოთხოვნილებების გახორციელების სასარგებლოდ, ამასთანავე ეს მოთხოვნილებები დაკავშირებულნი უნდა იქნენ საბოლოო რევოლიუციონურ მიზანთან.

პარტიული პრესა ვერ იძლევა იმის შთაბეჭდილებას, რაც გააკეთა პარტიამ ამ მიმართულებით.

მუშათა და გლეხთა ბლოკს, ხშირად ჩვენს საკუთარ რიგებშიაც კი ახასიათებდენ ისე, თითქოს ის იყოს საბოლოო მიზანი, და არა პირველი ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობისაკენ.

მუშათა და გლეხთა ბლოკს მიაკუთვნეს საარჩევნო დროს მომქმედი ჯგუფის როლი, იმის მაგივრად, რომ ის წამოყენებული ყოფილიყო, როგორც ყველა დარგებში მებრძოლი ჯგუფი, როგორც ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სამრეწველო პროლეტარიატის ბრძოლას.

ფერმების მუშების და მელათონეთა მოძრაობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვედა ადურის (გასკონი) რაიონში 1920 წელს, წარსულ წელში მომხდარმა სხვადასხვა გაფიცვებმა, რომლებიც გლეხების უშუალო აქტიური დახმარებით იქნა ჩატარებული, დაამტკიცეს, რომ მუშათა და გლეხთა ბლოკს არ აქვს მარტო სპეციფიური საარჩევნო ხასიათი.

საფრანგეთში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტს გლეხობა შეადგენს, ქალაქის და სოფლის მშრომელების კავშირი პროლეტარიატის გამარჯვების წინასწარი და აუცილებელი პირობაა.

მუშათა და გლეხთა ბლოკმა უნდა გააერთიანოს კომპარტიის ლოზუნგების გარშემო მშრომელთა ყველა ძალები და უნდა მიმართოს ისინი ბურჟუაზიული ძალების წინააღმდეგ, რომელნიც ჩქარის ნაბიჯით მიილტვიან ფაშიზმისაკენ.

პარტიამ მუშათა კლასის ფართო მასებში უნდა აწარმოოს შეუპოვარი საგანმანათლებლო ბრძოლა; მან უნდა აუხსნას მუშებს ბურჟუაზიული ხელისუფლების თანდათანობითი გახრწნა და მსხვილი კაპიტალის აშკარა სურვილი შესცვალოს იგი დიქტატურით, რომელიც მხოლოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

პარტიამ უნდა გამოიყენოს აგრეთვე საშუალო კლასის მძიმე მდგომარეობა, უნდა გამოიყენოს ყველა ის შემთხვევები, როდესაც პარტ[illegible] ეძლევა ნათლად დაასურათო[illegible] ლი კაპიტალის მადის თანდა[illegible] თი ზრდა, იმ მსხვილი კაპ[illegible] რომელიც წვრილი ბურჟუაზ[illegible] ტერესების საზარალოთ მოქ[illegible] პარტიამ უნდა გაანთავისუფ[illegible] უკანასკნელი ფაშისტური ი[illegible] გიის ზეგავლენისაგან, რო[illegible] ხელს უწყობს მსხვილ კაპიტა[illegible]

პროლეტარიატის შეარ[illegible] ბრძოლისათვის მომზადებით, [illegible] ზმის დემაგოგიური წვრილბ[illegible] ზიული ბაზის დაშლით, კომ[illegible] შესძლებს უხელმძღვანელოს [illegible] იმ ბრძოლაში, რომლის მიზან[illegible] ბა პროლეტარიატის მიერ [illegible] უფლების დაპყრობა.

კამპანია მასების აქტიურათ[illegible] ქმედების სასარგებლოთ გა[illegible] ლი უნდა იქნეს სიძვირისა [illegible] შევრობის წინააღმდეგ წარმ[illegible] ბრძოლის დროს და აგრეთვე [illegible] ნაც, როდესაც ბრძოლა სწ[illegible] შრომის ხელფასის გადიდებ[illegible] საათის სამუშაო დღის შენარ[illegible] სათვის.

ამისათვის პარტიამ უნდა [illegible] ჩინოს ისეთივე აქტიურობა, რ[illegible] საც იჩენს გერმანიის შრომ[illegible] ფედერაცია, როგორც აგი[illegible] ისე მოქმედების საკითხებ[illegible] ტიამ მთელის ძალღონით უნ[illegible] ძოლოს პროფკავშირების მთ[illegible] ბის აღდგენისათვის შრომის [illegible] ვალ გენერალურ კონფერენცი[illegible] უნდა შეეცადოს დაარსოს [illegible] კლასი საწარმოო საბჭოებში ([illegible] რიკო საქარხნო კომიტეტებში), [illegible] მელნიც ყველაზე უფრო მებრ[illegible] და ნაყოფიერი ორგანოებია [illegible] ნატის წინააღმდეგ მიმართულ [illegible] ლაში, რადგან ისინი მოწყ[illegible] ჩრიან თვით წარმოებაში, მუშ[illegible] ადგილას.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 85.

თბილისის მუშკორების კონფერენცია

მეორე სხდომა.

პროკურატურა და პრესა

(მომხსენებელი ამხ. გარძიელი)

1923 წლამდე საბჭოთა იუსტიცია სავსე იყო ბურჟუაზიული ელემენტით. ამჟამად მისი გაწმენდის შემდეგ სასამართლო სავსებით ჯანსაღად—ჩამოყალიბდა. სასამართლოს შემადგენლობის 90 პროც. წარმოადგენს მუშურ გლეხურ წრეებიდან გამოსული ელემენტი, ამ რიცხვიდან 70 პროცენტი კომუნისტია.

სასამართლოს აგებულება, ისე როგორც მისი აპარატი, ატარებს კლასიურ პოლიტიკას და კანონებიც შემუშავებულია პროლეტარულ დიქტატურის ხასიათთან შეფარდებით.

ყველა კოდექსში გატარებული კლასიური პრინციპი.

სასამართლოს ყველა დაწესებულებას—უზენაესი ტრიბუნალიდან დაწყებული და სახალხო სასამართლოთი დამთავრებულს,—აქვთ ერთიანი პროკურატურა, რომლის ამოცანა და დანიშნულება შეიცავს ორ მხარეს: სასამართლო საგამომძიებლო და სათვალყურო ნაწილს.

პროკურატურის მოვალეობას შეადგენს: დაიცვას სამართალი, სასამართლოს დადგენილების კანონიერება, სასამართლოს გადაწყვეტილებათა, ხელისუფლების ორგანოთა და დადგენილების სწორი შესრულება, ხელისუფლების ცენტ. ორგანოების დადგენილებათა და დეკრეტების კოდიფიკაცია (სისტემაში მოყვანა და გამოცემა) და სხვ.

მილიციის ორგანოების ყველა ოქმები, განცხადებები ამა თუ იმ პირის ბოროტმოქმედების შესახებ, მუშკორთა მხილებანი დაუყოვნებლივ გადაეცემა პროკურატურის მიერ დანიშნულებისამებრ ან ადმინისტრაციულ ორგანოებს ან სასამართლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშკორების მამხილებელი წერილები ფრიად ამსუბუქებენ პროკურატურის მუშაობას. მუშკორები, რომლებიც ქარხნებსა და სხვა საწარმოო დაწესებულებებში მუშაობენ და პირდაპირ ხვდებიან ადმინისტრატიულ ორგანოებს, მეტად მკვეთრად აღნიშნავენ ხოლმე ყველა ნაკლულოვანებას და უწესრიგობას.

ხშირად პროკურატურა უმნიშვნელო საგაზეთო შენიშვნის წყალობით პოულობს კვალს დიდი დანაშაულობისას. მუშკორები პროკურატურის მახვილი ორგანოებია და ამიტომ იუსტ. სახ. კომისარიატი ჰფიქრობს დანიშნოს ზოგიერთი მუშკორი გამომძიებლის თანაშემწედ.

საქმის კეთილად წასამართავად, საჭიროა, რომ მუშკორებმა სწერონ მათ მიერ შენიშნულ ბოროტებაზე, საჭიროებისამებრ მიმართონ კიდეც განცხადებით სასამართლოს, რომლის მუშაობის ხასიათის შესწავლა მათ დიდ სარგებლობას მოუტანს.

საორგანიზაციო საკითხი

(მომხსენებელი ამხ. ავენირი)

1903 წელს ამხ. ლენინმა აღძრა საკითხი მუშების აქტიურ მონაწილეობაზე პრესაში.

გლეხობას და მუშათა წრეებთან ფართე კავშირის დაჭერის აუცილებლობამ გამოიწვია მუშათა კორესპონდენტების წარმოშობა.

მუშა კორესპონდენტის საშვალებით გაზეთი უნდა შეეხოს მასას, ხოლო მასსა კიდევ გაზეთს. გაზეთი და მასსა უნდა მისდევდეს ცხოვრებას პარალელურად. ეს დებულება ჰქმნის სხვა და სხვა ტიპის გაზეთების გამოცემის აუცილებლობას.

იმდენად, რამდენადაც კიდევ არსებობს მუშკორების დევნის ფარული ფორმა, მუშკორებმა უნდა ატარონ ფსევდონიმი. რაც შეეხება მუშების მიმართ მუშკორის დამოკიდებულებას, მათგან მას დასამალი არაფერი არა აქვს, თუმც ზედმეტია ყვირილი იმაზე, რომ იგი მუშკორია. პატიოსანი მუშკორი უცბათ პოულობს მუშებში თანაგრძნობას და მჭიდროთ უკავშირდება მათ. პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ მუშკორი არ უნდა იყოს არც არჩეული და არც დანიშნული, ყველაზე მისაღები ფორმა,—ნებაყოფლობითი მუშკორობა,—მოწოდების მიხედვით.

მუშკორთა ინტერესების დაცვის და მათი ერთმანეთთშორის ურთიერთობის მოგვარების საჭიროება მოითხოვს ამ ახალგაზრდა მუშური მოძრაობის ჩამოყალიბებას.

მუშკორთა ორგანიზაცია უნდა მოეწყოს ასე: ყოველი გაზეთების მუშკორები ირჩევენ ბიუროს სამი ამხანაგისაგან, რომლებიც ამ გაზეთის მუშკორებში სპეციალურ მუშაობას აწარმოებენ.

საერთო ხელმძღვანელად კონფერენცია ირჩევს საქალაქო ბიუროს, რომელშიაც შედიან ყველა გაზეთების წარმომადგენელნი და სექციის ერთი წარმომადგენელი. საქალაქო ბიუროს დანიშნულებაა: მუშკორის აზროვნების ჩამოყალიბება, ხელმძღვანელობა და მუშკორის ინტერესების დაცვა.

ამ დებულების მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მუშკორებმა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ავენირი საჭიროდ სცნობს თბილისის მაზრის მუშკორთა ორგანიზაციის მოწყობას და მუშკორების კედლის გაზეთებში მონაწილეობას.

მუდმივი ბიუროს არჩევანი

კონფერენცია საქალაქო ბიუროში ირჩევს შემდეგ ამხანაგებს:

გალკინს, ბუდაღიძეს, ზაქიაშვილს, შათირიძეს, ხ. ჩიტუროვს, ოსქოპას, კონდაკოვს, ავენირს, შაფათავას და შაპოშნიკოვს.

მორიგი სხდომა გადაიდო სამშაბათისათვის.

ამის გამო ოლქკომმა მიიღო ზომები განსაკუთრებით გადამეტებისათვის; ბრძოლის ცირკულიარის მიღების შემდეგ ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი კამპანია პარტიის წევრთა ყოფა-ცხოვრების შემსწავლელი კომისიის შექმნისათვის. გაგრის ორგანიზაციის მიმართ ოლქკომმა მიიღო შესაფერი ზომები, რასაც მოყვა ერთი წევრის გამორიცხვა და ორგანიზაციის გაფრთხილება.

კოდორის და გუმისტის მაზრებშიც გამორიცხულ იქნა 4 წევრი—გლეხები დისციპლინის დარღვევისათვის.

ლტოლვა პარტიაში ემჩნევათ გლეხობას და კომკავშირის ძველ წევრებს, რომელთა მიღება სწარმოებდა დიდი სიფრთხილით.

მიუხედავად მიმოსვლის საშუალებათა უქონლობისა, ოლქკომმა სასურველი კავშირი დაამყარა ადგილობრივ ორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდის მიწურულში მიმაგრებულ იქნა ინსტრუქტორები გუდაუთის, კოდორის და გუმისტის მაზრებზე, ორხელ თვით ოლქკომის მდივანმა იმგზავრა კოდორში.

სადრიცხვო ქ განყოფილება ვერ იდგა თავის სიმაღლეზე საჭირო ძალების უქონლობით, რაზედაც და ბოლოს ოლქკომმა მიიღო საჭირო ზომები მისი მუშაობის გამოსასწორებლად. აგრეთვე გადადგმულ იქნა ნაბიჯი საინფორმაციო ნაწილის და პრესაში პარტ-ცხოვრების გაშუქების კარგ ნიადაგზე დაყენებისათვის.

შინაპარტიული მშენებლობის გარშემო დისკუსიის ჩატარების შემდეგ უჯრედების მუშაობაც გაძლიერდა.

ხშირად ისმება დღის-წესრიგში მოხსენებები სამეურნეო, პროფესიონალური, ყოფა ცხოვრების და სხ. საკითხების შესახებ.

ი. კო—ძე.

რუსეთის კომპარტიის მე-13 ყრილობისათვის

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობის შესახებ

1) განსავითარებლად ლენინის გეგმისა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის წარსული გამოცდილების მიხედვით, ცეკამ და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინეს, წარადგინონ პარტიის 13-ე ყრილობაზე შემდეგი წინადადება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობის შესახებ: წევრთა საერთო რიცხვი განისაზღვროს 150 კაცით. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 70 წევრი მუდმივად იმუშავებენ ცენტრში, ამასთანავე ამ ცენტრში უნდა იმყოფებოდეს 20 დაზგასთან მდგომი მუშა და გლეხი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები, რომლებიც დანიშნული იქნებიან ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და მუშათა და გლეხთა ინსპექციაში სამუშაოდ სრულიად განთავისუფლებული უნდა იქნენ სხვა ყოველგვარ მოვალეობათაგან. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 50 არჩეული წევრი რჩებიან სამუშაოზე წარმოებებში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 30 წევრი მათი არჩევის შემდეგ რჩებიან ადგილებზე და სათავეში უდგებიან ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებს, ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან საოლქო და საგუბერნიო ორგანიზაციებში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებს, რომლებიც რჩებიან სამუშაოთ უშუალოთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გარდა ოცი მუშისა და გლეხისა, უნდა ჰქონდესთ არა ნაკლებ 10 წლის პარტიული სტაჟი, ადგილობრივ ორგანოების მეთაურებს—არა ნაკლებ თებერვლის რევოლიუციამდე, დაზგასთან მდგომ მუშებს და გლეხებს—ოქტომბრის რევოლიუციამდე.

სტაჟების ამ მოთხოვნილებაზე, რომელსაც უყენებენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის კანდიდატებს, შეიძლება დაშვებულ იქნას სხვადასხვა გამონაკლისი განსაკუთრებით რესპუბლიკის ეროვნულ ოლქებისათვის.

2) ყრილობისათვის კანდიდატურათა საკმაო რიცხვის წარსადგენათ და პარტიის ისეთ წევრთა არჩევის გასაადვილებლად, რომელთაც შეუძლია ცეკას, ცენტრ. საკონტ. კომისიაზე და მუშათა და გლეხთა ინსპექციაზე დაკისრებულ ამოცანების შესრულება დადგენილ იქნას: ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა კანდიდატურას, რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგეს არჩევის შემდეგ ცენტრ. საკ. კომ. და მუშ. და გლეხ. ინსპ. ადგილობრივ ორგანოებს ასახელებენ ყრილობამდე მოწვეული საოლქო პარტკონფერენციები, რიცხვით სამს. ამ კანდიდატურას ადგენენ ყრილობაზე განსახილველათ. იმ ოლქების და გუბერნიების სიას, რომლებშიაც უნდა იქნან არჩეული ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრები ადგილობრივ ორგანოების სახელმძღვანელო მუშაობისათვის, ადგენს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და იგი ეცნობება სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს საგუბერნიო პარტკონფერენციის გახსნამდე.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა კანდიდატურებს, როგორც დაზგასთან მდგომი მუშების ისე მათი, ვინც რჩებიან ცენტრში სამუშაოდ, ასახელებენ უჯრედები თავიანთ ღია სხდომებზე და შემდეგ ყრილობამდე მოწვეული პარტკონფერენციები. იმ წარმოებათა სიას, რომლებზედაც უნდა იქნან დასახელებული ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები, ადგენს ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმი და იგი ეცნობება სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს საგუბერნიო პარტკონფერენციის გახსნამდე.

ცენტრ. საკონტრ. კომის. გლეხ. კანდიდატებს ასახელებენ საგუბერნიო და საოლქო კონფერენციები და წარუდგენენ ყრილობას განსახილველად. ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრთა კანდიდატურის დასახელების დროს ყველა [illegible] უნდა იქნას მიღებული რომ კანდიდატმა მუდმივი ცოცხალი კავშირი დაიცვას პარტიან და გამოიჩინოს საქმიანობაც საჭიროა კანდიდატისათვის ცენტრ. საკ. კომისიაში და მუშ. და გლეხთა ინსპექციაში სამუშაოდ, რომლებიც ამუშავებენ საბჭოთა აპარატს და ებრძვიან ყოველ მის ნაკლოვანებებს.

საჭიროდ ჩაითვალოს მომავალში ცენტრ. საკონტროლო კომისიაში ქალთა და მოწინავე მუშურ გლეხურ ახალგაზრდობის ცენტის გადიდება.

თბილისის საბჭოს პლენუმი

ორშაბათს,—14 აპრილს ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგა ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში დასმული იყო: 1) ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება 2) მიმდინარე საკითხები.

პირველად საბჭო შეუდგა მიმდინარე საკითხების გარჩევას. ამხ. არჩილ რუხაძე კითხულობს რეზოლიუციას ამხ. ტროცკის იმ მოხსენების გამო, რომელიც ამხ. ტროცკიმ წაიკითხა ტფილისის საბჭოს 11 აპრილის საზეიმო სხდომაზე. რამოდენიმე მნიშვნელოვანი და სარედაქციო ხასიათის ცვლილების შეტანის შემდეგ პლენუმი ამტკიცებს რეზოლიუციას.

სექციების მუშაობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობას იძლევა ამხ. რუხაძე, რომელიც აღნიშნავს ყველა სექციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობას გარდა ერთი სექციისა, სახელდობრ საადგილმამულო სექციის, რომლის მუშაობა შეფერხებულია იმის გამო, რომ ჩაწერილი ამხანაგები სხდომებზე არ ცხადდებიან.

მომხსენებელი მოითხოვს პლენუმმა გამოიმუშაოს რაიმე ზომა სექციის წევრების მიერ თავის მოვალეობის შესასრულებლად. საბჭოს წევრებს შეაქვთ წინადადება, რომლის მიხედვით ისინი მოითხოვენ გამოეცხადოთ გაკიცხვა საბჭოს იმ წევრებს, რომელნიც ჩაწერილი არიან სექციაში და სხდომებზე არ დაიარებიან რიგი ამხანაგებისა წინააღმდეგია ამ წინადადების და მოითხოვს, რომ გამორკვეულ იქნას მიზეზი სექციის წევრების დაუსწრებლობის, რისთვისაც არჩეულ უნდა იქნეს კომისია, რომელიც განიხილავს ყველა სექციების მუშაობას და [illegible] წევრთა მოუსვლელობის მიზეზებს.

საბჭო ხმის უმრავლესობით იღებს უკანასკნელ წინადადებას.

თბილისის ბიუჯეტი

(მომხსენებელი ამხ. გაბაშვილი)

მომხსენებელი შესავალში საბჭოს აცნობს ბიუჯეტის საერთო შინაარს და მის დანიშნულებას. ტფილისს 24 წლის ბიუჯეტში, რომელიც მხოლოდ 3 კვარტალს შეიცავს, მოხსენებელის თქმით დაცულია ბიუჯეტის დამახასიათებელი მხარე: ქალაქის რესურსების აღრიცხვა და მისი მიზანშეწონილი განაწილება.

ქალაქს წარსშიაც ჰქონდა ბიუჯეტი, მაგრამ მისი აგება უფრო გასავალს ითვალისწინებდა, ვიდრე შემოსავალს. 24 წლის ბიუჯეტიც არ არის მთლიანად სწორი, მაგრამ წლევანდელი ხარჯთაღრიცხვა წლებზე უფრო უახლოვდება ბიუჯეტს, რაც აიხსნება იმით რომ მიმდინარე წელს უმთავრესად უნდა დავეყრდნოთ ჩვენ საკ. საშუალებებს, რადგან აღმასკომთავრობიდან ვერ მიიღებს ვერავითარ დახმარებას—დოტაციებს. ამ მ ჩვენი ბიუჯეტის შედგენის დროს ამოწურულია ყოველგვარი შესაძლობა ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესავსებად. მიუხედავად ამისა ბიუჯეტი მაინც დეფიციტია. მიზეზი ამ დეფიციტის არის უმთავრესად საშუალებათა განუვითარებლობა და დიდი საშენებლობის საჭიროება.

შემდეგ მომხსენებელი საბჭოს დაწვრილებით აცნობს ბიუჯეტის საშემოსავლო და გასავალი ნაწილის შინაარსს, რომელიც მოყვანილი იყო ჩვენი გაზ. № ში.

კამათი.

შეკითხვების შემდეგ მოხსენების გარშემო იმართება კამათი.

ამხ. ფიალკოვსკის აზრით ბიუჯეტით არ არის გამოყენებული საშემოსავლო წყაროს გადიდების ყველა შესაძლობა, სახელდობრ, შესაძლებელი საგადასახადო ნაწილის გადიდებით—მიწის რენტის დაწესებით დეფიციტის საგრძნობლად შემცირება.

ამხ. ჰინოვი აღნიშნავს რომ ბიუჯეტიდან ნაწილების საჭიროებისათვის ძან მცირე თანხა არის გადადებული თუ ბიუჯეტს პედაგოგიურ პერსონალის შესანახად მთავრობის მიერ გაცემულ დოტაციას გამოვაკლებთ განათლების საჭიროებისათვის აღკომის მიერ გადადებული თანხა იქნება ბიუჯეტის არა 15 პროც., არამედ 7 პროც., აღნიშნავს რა ამ გარემოებას, იგი მოითხოვს სხვა საგასავლო მუხლების შემცირებით გადიდდეს პედაგოგიურ პერსონალის ჯამაგირი.

ამხ. [illegible] აზრით არ არის გამოყენებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესავსებად, ყველა შესაძლობა. მოსამსახურეთა დამქირავებზე 5 მანეთის ნაცვლად სრულიად დასაშვებია 25 მანეთის [illegible] გადასახადი, რომელიც მეფის დროს 10 ჯერ მეტი იყო, ეს შესაძლებელია გავადიდოთ—4 ჯერად, ვიდრე ბიუჯეტი ითვალისწინებს და სხვა.

დასკვნით საბჭო სთვლის რა ბიუჯეტის დამტკიცებას მეტად მნიშვნელოვან საკითხად, იმ მიზნით, რომ სცნოს ყველა წევრს, მიეცეს ბიუჯეტის შესწავლის საშუალება, ადგენს ბიუჯეტის დამტკიცება გადადოს მომავალ ორშაბათისთვის.

ეკონომიური ცნობები

(16 აპრილი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან

ჩერვონეცით

გირვ. სტერლინგი ეფექტ.	8 მ. 10 კ.
" ჩეკები —	7 მ. 20 კ.
დოლარი ეფექ. —	1 მ. 94 კ.
" ჩეკები —	1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ეფ —	92 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანკი ფრან. 100 ცალი	9 მ. 40 კ.

ბიულეტენი

საქ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიის.

(16 აპრილი)

ოქროს მანეთი 12.500 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(16 აპრილი)

პური 2 ხარ.—6 კაპ., ძროხის ხორცი—35—38 კაპ., შაქარი რაფინადი—34 კაპ., შაქარი ფხვნილი—28 კაპ., ბრინჯი ალდ.—11 კაპ., კარტოფილი—2 კაპ. ნახ. მაკარონი 20 კ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(16 აპრილი)

პური 1 ხარ.—10 კაპ., პური 2 ხარ.—7 კაპ, ძროხის ხორცი—50 კაპ., შაქარი რაფინადი—37—შაქარი ფხვნილი—28 ნ.ხ. კ, ბრინჯი აღდაშის—20 კაპ., კარტოფილი—5 კაპ. მაკარონი 25 კ.

ბირჟის მიწოდება

ნამგლები და ცელები (ავსტრიის), კანიფოლი, ქლორის კალციუმი, ფქვილის ტომრები, „ჯუბმაჩევი“-ის ჩაი (ინგლ), ჩაი ცეილონის ჩინეთის, მზესუმზირას ზეთი, მანანის ფეტვი, ხორბალი და პურეული, „სახართრესტ“-ის პროდუქცია, თეთრი თუნუქის ნაწილები, „კოკინდიკატ“-ის პროდუქცია, „ხლიბოპროდუქტ“-ის ფქვილი, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა ბემის და რუს., სახ. მეურ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, შაბიამანი, შაბი (განჯის), კარტონი.

ბირჟის მოთხოვნილება

რუს. მანუფაქტურა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, მზესუმზირას ზეთი, სალომასი, ტეხნიკური ცხიმები, პორტლანდიის ცემენტი, ქვა მარილი ნახ.ნ., თხილი, ტომრები, ავსტრალიის ქონი.

ოფიციალური ფასები

კატონი (თეთრი)—5 მ. 70 კ. ფუთ, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ნაწლავები (ცხვრის)—22 კ. ფ., ფრანკო გამყიდველის საწყობი.

რკინა სახურავის—5 მ. 50 კ. ფ., ფრანკო—ცარიცინი—ქარხანა.

რკინეულობა სხვადასხვა—პრეისკურანტის ფასებში.

რკინა (ПОЛОСОВОЕ)—2 მ. 75 კ. ფ. ფრანკო ქარხანა სადგ. „სოლიანაია“.

საქონლის ბაზრის განწყობილება. საქონლის ბაზრების განწყობილება გამოურკვეველია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

დამატებითი ხარჯები რკინისგზელთა პროფტეხნიკურ განათლებისათვის. გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულების მიხედვით, ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველომ დაადგინა: ბაქოს ფაბრიკა-ქარხნის სასწავლებლის მოსაწყობად გადადებულ 11.249 მანეთის გარდა, გაცემულ იქნეს კრედიტი სახ. თ. კიდევ 72 569 მანეთი ბათუმის ფაბრიკა-ქარხნის სასწავლებლის ხელმეორედ მოწყობის შესანახად.

უმუშევართა შრომის არტელში. ა.—კ. რკინის გზათა სამმართველომ ნება დართო უბნების უფროსებს გადასცენ სამუშაოები უმუშევარ რკინისგზელთა შრომის არტელებს წინასწარი გირაოს შეტანის გარეშე.

დამატებითი კრედიტი სამგზავრო ბილეთების დასამზადებლად. ა. კ. რკინის გზის სამმართველომ ნება დართო გაღებულ იქნეს დამატებითი კრედიტი 35,434 მ. 33 კაპ. სამგზავრო ბილეთების დასამზადებლად.

ტარიფი ნედლ ხილზე. ა. კ. რკინისგზათა სამმართველომ დაადგინა საკითხი ნედლი ხილის ტარიფის შესახებ გადასცეს განსახილველ ა. კ. რკინისგზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის სხდომას.

შემთხვევათა სტატისტიკა. 1923 წელს მომხდარ შემთხვევათა გამოძიებიდან გამოირკვა, რომ კავშირის განყოფილების მუშაობაში არ ჰქონია ადგილი უბედურ შემთხვევას.

მუშაობის დაწყება ა. კ. რკინის გზათა სამმართველოში. 15 აპრილიდან ა. კ. რკინის გზათა სამმართველოში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათიდან.

ქრონიკა

■ **ამხ. ტროცკის სახელობის საავადმყოფო** 13 აპრილს ზაჰესის საავადმყოფოს და აბანოს საზეიმო გახსნის დროს მუშა-მოსამსახურეთა გამართულ მიტინგის დადგენილების თანახმად ამხ. ტროცკის მიერ ზაჰესის სამუშაოთა დათვალიერების აღსანიშნავად ზაჰესის საავადმყოფოს დაერქვა ამხ. ტროცკის სახელობის საავადმყოფო.

■ **მიწის ძვრა** ამა წლის 14 აპრილს 19 საათზე 32 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია შორეული ძლიერი მიწის ძვრა. ეპიცენტრი მდებარეობს 8000 კილომეტრის მანძილზე (ფილიპინის კუნძულები ან ალიასკის ნახევარ კუნძული).

■ **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისათვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა ამ თავითვე მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის შესრულების თავზე მთელ რესპუბლიკაში მოსპობილი იქნას წერა კითხვის უცოდინარობა.

■ **ცოფიან ცხოველების მიერ დაკბენილების შესახებ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა/კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა წინადადება მიეცეს ა/კ რკინისგზის სამმართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მოთხოვნილობისამებრ გასცეს უფასო ბილეთები ცოფიან ცხოველებისაგან დაკბენილ ავადმყოფების გადასაყვან-გადმოსაყვანად.

■ **გადასახადებისაგან განთავისუფლება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ აღმასკომებს, რათა ამერიკულ კომიტეტის დაწესებულებების მიერ დაკავებული შენობები განთავისუფლდეს სახელმწიფო და კომუნალურ გადასახადებისაგან.

■ **უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების და საელჩოების შესახებ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ საერთაშორისო უფლებისა თანახმად საქართველოში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების და საელჩოების კუთვნილი სამგზავრო ავტომობილები განთავისუფლა ყოველგვარ სახელმწიფო და სამოქალაქო გადასახადებისაგან.

■ **ზემო-სვანეთის მაზრის აღმშენებლობისათვის.** ზემო სვანეთში საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასცა 119,072 მან. და 33 კაპ.

■ **საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ახალი შემადგენლობა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარეთ—სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე; მოადგილე—სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; წევრებათ—საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე, მიწათმოქმედების და შრომის კომისარები, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსი და ა/კ. ფინანსთა კომისარიატის რწმუნებული საქართველოში.

■ **დახმარება უმუშევრებს.** დაზღვეული უმუშევრები, მტკიცე ფულის დაწესების შემდეგ, დახმარებას მიიღებენ მცირე დაკლებით, მაგალითად: 1 ხარისხის უმუშევრები—6 მ. და 50 კ., ხოლო მეორე ხარისხის—4 მ. და 55 კ.

■ **სასოფლო-სანიტარო ექიმთა შტატის გადიდება.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას გაადიდოს სასოფლო-სანიტარო ექიმთა შტატი 6 კაცით.

■ **რენტგენის კაბინეტის უკანასკნელ მიღწევების შესასწავლად.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა 1 საავადმყოფოსთან არსებულ რენტგენის სხივების კაბინეტის გამგე მიავლინოს ლენინგრადში 6 თვით რენტგენის სხივების კაბინეტის უკანასკნელ მიღწევათა შესასწავლათ.

■ **ბინის გადაცემა.** ქ. აღმასკომმა პროლეტარულ სტუდენტთა თბ. ბიუროს გადასცა საექსპლოატაციო ბალი „არტო“ წელიწადში 8 ათას მანეთის გადახდით.

■ **სასადილო უმუშევართათვის.** ქ. აღმასკომმა უმუშევართა სასადილოს საჭიროებისათვის გაიღო 1000 მანეთი.

■ **ავადმყოფნი ამბულატორიებში.** ჯანმრთ. სამკურნალო განყოფილების ცნობით, 1923 წ. განმავლობაში თბ. ამბულატორიებში გატარებულია 46 824 ავადმყოფი.

■ **სამკურნალო ხელსაწყოები.** დამზღვევი კასამ გადასწყვიტა მიიღოს სათანადო ზომები სამკურნალო ხელსაწყოების საჭირო რაოდენობის შესაძენად რესპუბლიკის საავადმყოფოებისათვის.

პროვინციის აღმასკომების მუშაობა.

■ **გაზეთები სოფლებისათვის.** ახალქალაქის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა რაიაღმასკომების და ქოხ-სამკითხველოების დახმარებით მოაწყოს ყველა ადგილობრივ სოფლებში გაზეთების კოლექტიური გამოწერის საქმე.

■ **მოხეტიალე ძაღლების მოსპობათ.** ახალქალაქის მაზრის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქუჩებში მოხეტიალე ძაღლების და სხვა ცხოველების მოსპობათ.

■ **თევზის ჭერის საქმე.** ახალქალაქის მაზრის აღმასკომმა დაადგინა იჯარით გასცეს თევზის ჭერის საქმე მდინარე ტაპარავან ჩაიზე.

■ **შავი ჭირის წინააღმდეგ.** სიღნაღის მაზრის აღმასკომმა დაამტკიცა შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის დადგენილება აღმასკომის ხარჯზე სასანიტარო ზედამხედველ დეზინფექტორის მოწვევის შესახებ.

■ **დასასვენებელი სახლებისათვის.** სოც. უზრუნველყოფის სამმართველომ დასასვენებელ სახლების საჭიროებისათვის გადასდო 21,000 მ.ნ.

■ **ხელოვნური ხელფეხი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ წინადადებით მიმართა დამზღ. კასას, რათა დაზღვეულებს, რომელნიც საჭიროებენ ხელოვნურ ხელ-ფეხს, ასეთები უნდა მიეცეთ უფასოთ.

■ **შრომის ბირჟა.** 14 აპრილს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 188 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—77. სამუშაოზე გაიგზავნა 48 უმუშევარი.

შემთხვევები.

■ **მკვლელობა.** ორშაბათს, 14 აპრილს საღამოს 8 საათზე, დემიდონოვის მოედანზე მდებარე სახლში № 23, ილია კობიაშვილმა რევოლვერით მოკლა თეოფილე ჯაფარიძე.

■ **ქურდი სტუმარი.** 12 აპრილს დილით 19 თებერვლის ქ. № 3, დავით კარაპეტოვის ბინაზე სტუმრად მყოფმა სტეფანე აკოფოვმა მოიპარა ბავშვის ახალი ფეხსაცმელები, ღირებული 18 მ. დამნაშავე შეიპყრეს.

— 13 აპრილს, დღის 1 საათზე, აბასთუმანის ქ. მდებარე სასადილოში კონსტანტინე თუმანოვს მოჰპარეს 30 მან. ფართლეული. ქურდი ნიკოლოზ ბრიკოვი შეიპყრეს.

— 11 აპრილს, ღამის 12 საათზე, შერემეტიევის ქ. № 65 გაქურდეს მარიამ ვაშაკიძის ბინა. წაღებულია 300 მ. ჩერვონეცი.

■ **თავის მოწამვლა.** 12 აპრილს, საღამოს 10 საათზე მოქ. თამარა იორდანეს ასული ხოსიტაშვილმა, მოქ. ვარდანოვის სახლში (ვაკე) თავი მოიწამლა იოდით, მოწამლული გაიგზავნა საავადმყოფოში. მიზეზი თავის მოწამვლისა გამოურკვეველია.

■ **უბედური შემთხვევა.** 12 აპრილს, დღის 1 საათზე, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა ადგილობრივ მცხოვრებ ბავშვებმა, იპოვეს ასაფეთქებელი მასალა, რითაც დაიწყეს თამაში. თამაშის დროს მასალა აფეთქდა და მძიმეთ დაშავდა: ლიდა ხატიაშვილი 10 წ., მუკუშა ჩიტიკანცი 8 წ., ასვა ჩიტიკანცი 11 წ. და მარგო გულისანცი 10 წლისა. დაშავებულნი გაგზავნეს რესპ. მთ. საავადმყოფოში.

■ **ცოლის მოკვლა.** 12 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე, ა.-კ. საგანგებო კომისიის საბუდრაგო რაზმის შენობაში გრიგოლ ბონდარენკოს ოჯახში აღმოჩენილი იქნა აღნიშნულ ბონდარენკოს მოკლული ცოლი, რომელსაც ყელი გამოჭრილი აქვს სამართებლით. დამნაშავე შეიპყრეს.

■ **თავის დახრჩობის განზრახვა.** 13 აპრილს, გორის ქ. № 24 მოქ. ეკატერინე ლუდუშაურმა თავის დახრჩობის მიზნით ყელში წაიჭირა მაგიდის საფარი. ლუდუშაური გადაარჩინეს. მიზეზი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 13 აპრილს შეიპყრეს სიმონ იზიანცი და გორა არუთინოვი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა.

ხელოვნება

■ **ლექსების წიგნი ლენინზე** აპრილის ბოლო რიცხვებში გამოვა პოლიგრაფიულ წარმოების თაოსნობით ლექსების წიგნი ლენინზე. წიგნში მოთავსებული იქნება ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ პოეტების ლექსები.

■ **ქართველი მხატვრები საერთაშორისო მხატვრობის გამოფენაზე ვენეციაში.** ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მიიღო მიწვევის ბარათი საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ ვენეციაში. მხატვრებისა და საჭირო ექსპონანტების გასაგზავნათ მხატვართა საზოგადოებამ დახმარების გასაწევათ მიმართა განათლების კომისარიატს

■ **გ. ქუჩიშვილის გაგზავნა კურორტზე.** საქ. პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა ავადმყოფი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი სამკურნალოთ გაგზავნოს „არაზინდოს“ სანატორიუმში (აბასთუმანში).

■ **მომღერალ თარხნიშვილების კონცერტი.** დღეს სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ თარხნიშვილების ხალხური სიმღერების კონცერტი.

■ **ლექცია აინშტაინზე.** დღეს, პატარა თეატრში აინშტეინის თეორიის შესახებ ლექციას წაიკითხავს 15 წლის მოწაფე მათემატიკოს-ასტრონომი ამბარცუმიანი.

დღის თეატრები.

— ოპერა. „აბესალომ და ეთერის“ გენერალური რეპეტიცია.

— რუსთაველის თეატრი. სამხედრო წარმოდგენა.

— [illegible] რუსულ-ქართ. წარმოდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციაში

გამოჩინებულის თემი (ქუთაისის მაზრა)

ამ თემში სხვა დაწესებულებათა შორის არსებობს აგრეთვე უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, რომლის დანიშნულებაა მისცეს საშუალება თითოეულ მშრომელს ისარგებლოს წიგნებით და გაზეთებით. მაგრამ ჩვენ, საუბედუროთ, სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ. მაგალითად, მიდის მკითხველი და სთხოვს სამკითხველოს გამგეს წიგნს წასაღებად. პასუხად ღებულობს უარს და მიზეზად ასახელებს საქმის მოუწესრიგებლობას სამკითხველოში. ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის ამდენი მოუწესრიგებელი პატარა სამკითხველოში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და სამკითხველოს საქმე იქნეს ისე დაყენებული, რომ ყველა მშრომელს მიეცეს საშუალება დაუბრკოლებლად ისარგებლოს წიგნებით და გაზეთებით.

„ნემსი“.

სოფელი საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოს თემის გლეხთა საბჭომ, ამხ. სამს. აბრამაშვილის თავმჯდომარეობით, გადასდგა ორი ფრიად საყურადღებო ნაბიჯი: საბჭოს სხვა მრავალ საქმიან მუშაობათა შორის უმთავრესი ყურადღების ღირსია სოფ. საგარეჯოში გზების და ხევების გაკეთების საქმე. აქამდე საგარეჯოს გზები წარმოადგენდნენ ვიწრო ბილიკებს ორი სჟ. სიგანით, რომელზედაც ძლივს გაივლიდა ერთი ურემი და არ იყო საშუალება დაეთმო გზა მეორისთვის. ამ გარემოებამ მიიქცია სამს. აბრამაშვილის ყურადღება და ერთ-ერთ სასოფლო საბჭოს სხდომაზედ გამოტანილ იქნა განაჩენი გზების შეკეთების და კერძოდ გაფართოვების შესახებ, რაიცა დაუყოვნებლივ სისრულეში იქნა მოყვანილი. ეხლა საგარეჯოს ყოველ [illegible] მოეპოვება 4 სჟ. სიგანის და ქვაქვიშით მოკირწყლული გზები, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოფლის ეკონომიური ურთიერთობის და აღორძინების საქმეში.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე მისი არის ხევების გამაგრება. თვალთ ხევისა და წყლის ხევისაგან ადგილობრივ მცხოვრებთ მიყენებული აქვთ დიდი ნივთიერი ზარალი. გაზაფხულზედ, წყალდიდობას, ადიდებული და გაფართოებული ხევის წყლები არ ინდობენ გლეხკაცის ნამოქმედარ—ნამუშევარს და სპობენ, ანადგურებენ ყოველივეს, რაც კი მათ გზაზე შეხვდებათ, ვენახებს, ბაღებს და გზებს. ხშირათ არის ხოლმე საქონლისა და ადამიანის მსხვერპლიც—კი. ამხ. სამ. აბრამაშვილის წყალობით ეს ხალხის ნივთიერი კეთილდღეობის დამღუპველი მტერი—წყალდიდობის სახით, მოქცეული ვიწრო კალაპოტში—და ხევებზედ აშენებულია ბევრ ადგილას გოდოლ-ყურეები, რომლის აშენებასა და დაქვავებაში თვით ხალხი იღებდა მხურვალე მონაწილეობას: ეს ორი დიდი საქმე სოფ. საგარეჯოში ამჟამად მოწესრიგებულია და ხალხის გაზაფხულის ნამოქმედარს არავითარი საფრთხე არ მოელის წყალდიდობის მხრივ.

უნდა სამართლიანად აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში არა ნაკლები თავგამოდებით და ენერგიით მუშაობდა საგარეჯოს სოფლის კომისარი ილო ქაიხოსროშვილი, რომელიც წარმოადგენდა აღმასრულებელ ძალას ამ საქმეში.

ახლა რიგი საგარეჯოს თემის სხვა სოფლების კეთილმოწყობაზე არის მიმდგარი. ამ. სამს. აბრამაშვილის დაუღალავი და ენერგიული მუშაობა არის თავდები, რომ აქაც იქნება შესაფერი ნაბიჯები გადადგმული.

ლ. ზუკაკიშვილი.

მეაბრეშუმეობა სენაკის მაზრაში

მეაბრეშუმეობას დიდი ხანია რაც იწევს სოფლის მოსახლეობა. ომამდის ეს დარგი მეურნეობის უფრო იყო გავრცელებული, ვინემ ომის დროს და მის შემდეგ, რომელმაც ძლიერ შეაფერხა მეაბრეშუმეობის საქმე. დაწყებული 1914 წლიდან მეაბრეშუმეობამ იკლო და ეს არ შეწყვეტილა თითქმის 1921 წლამდე. ამ წლიდან იწყება მეაბრეშუმეობის აღორძინების ხანა. მართალია, 1921—1922 წლებში ეს აღორძინება ასე არ ემჩნეოდა, მხოლოდ 1923 წ. თვალსაჩინო შეიქნა და ბევრმა ხელახლა მოჰკიდა ხელი მას. 1924 წ. კი სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, თითქმის 80 პროც. ეტანება მეაბრეშუმეობას და სცდილობს როგორმე შეიძინოს აბრეშუმის თესლი.

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სხვა საქმეებში, ისე აქაც სათავეში ჩადგა ამ საქმეს. მან შეიძინა დიდძალი თესლი აბრეშუმის ჭიისა და კოოპერატივების საშუალებით უკვე დაიწყეს დარიგება მთელ მაზრაში. პირველი დარიგება მოხდა ა წ. 7 აპრილს სენაკის რაიონში, რასაც მშრომელი ქალები დიდის სიხარულით შეხვდნენ. ფიქრობენ, რომ თესლის სინაკლე არ იქნება, რაც მეტად სასურველია.

ამნაირად, თუ თესლი კარგი ხარისხის გამოდგა, მოსალოდნელია დიდძალი პარკი, რასაც, რასაკვირველია, ისევ საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მისცეს ფასიანი ბაზარი, რომ ამით შეფასდეს ოჯახის მთელი ზაფხულის ნამუშევარი.

ამასთანავე ქ. სენაკში შენდება პარკის საშრობი შენობა, რაც აქამდის არ იყო.

ბ. უჩანეიშვილი.

სოფ. ჭანიეთი (გურია)

სოფ. ჭანიეთი მდებარეობს გურიისა და სამაჰმადიანო საქართველოს საზღვარზე. ძველი რეჟიმის დროს ჭანიეთის მოსაზღვრე სოფ. ქედუში არსებობდა დაბალი საფეხურის სკოლა, სადაც სწავლობენ—ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები ერთად. ამ სკოლით სამი სოფელი სარგებლობდა. რევოლიუციის შემდეგ, ხალხის კულტურული დონის აწევის გამო, გაიზარდა საჭიროება სკოლისა, რის შემდეგაც იყო სოფ. ჭანიეთში სკოლის გახსნა. ჭანიეთის მიერ აგებული იქნა სკოლისათვის შენობა; მაგრამ ეს შენობა, სიპატარავის გამო, ვერ აკმაყოფილებდა სკოლის მოთხოვნილებას გარდა იმისა, რომ მასწავლებლისათვის არ არის ოთახი, აგრეთვე განყოფილებებსაც არ ყოფნის ოთახები (ოთხი განყოფილებაა და ორი ოთახი) აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შენობის გაფართოება.

ამავე სოფელში არის საუკეთესო მასალისაგან აშენებული ეკლესია; და აი, 1922 წელში დაისვა კითხვა: ეკლესიის დაშლა და მასალის—სკოლის შენობის გაფართოებისათვის მოხმარება.

გასულ წელს, პოლიტ. გან. მთავ. მართ. გამგეობის თავმჯდ. ამხ. გ. ხაჰაპურიძე, რომელიც სახალხო სახლის გამო, ჩამოსული იყო ჭანიეთში, მოახსენეს სკოლისა და ეკლესიის მდგომარეობა. ამხ. გ. ხაჰაპურიძემ მოიწვია საერთო კრება, სადაც გააკეთა ვრცელი მოხსენება რელიგიის შესახებ; რელიგიის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ის დაწვრილებით შეეხო სამღვდელოების „მოღვაწეობას“. დასასრულ ურჩია ხალხს—თავი დაენებებინათ მავნე ტრადიციებისათვის—დაეშალათ მატყუარების ბუდე და ჭეშმარიტ სახალხო საქმისთვის მოეხმარათ. ჭანიეთის შეგნებული, მოწინავე ნაწილი თავიდანვე ამ აზრის იყო, რისთვისაც უნდებოდათ ბრძოლა „წმინდა მამების“ და აგრეთვე ზოგიერთი ჩამორჩენილ ელემენტების წინააღმდეგ. ამხ. გ. ხაჰაპურიძის მოხსენების შემდეგ, მიღებულ იქნა წინადადება ეკლესიის დაშლისა და სოფლისათვის მოხმარების შესახებ. სასურველია, დროზე იქნეს ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოყვანილი, ან ბოლო მოეღოს „წმინდანების წმინდა იმედს“, რომელნიც დაშლის წინააღმდეგ ვერაფერს ამბობენ (რადგანაც ეს გადაწყვეტილია), მაგრამ ცდილობენ ამ საქმის გადადებას „—კარგი დროის მოსვლამდე ნენა“.

ამ სოფელში არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც, საუბედუროთ, უყურადღებოთ არის მიტოვებული. მიმდინარე წლამდე პოლ. გან. მთ. მართველობა ეხმარებოდა მას; უგზავნიდა წიგნებს და უწერდა გაზეთებს. დღეს კი გაზეთები აღარ მიდის, რის გამო მთელ თემში აქაური გლეხები მოწყვეტილნი არიან საშუალებას მიმდინარე ამბებში ცოტათ თუ ბევრათ გაერკვენ. გლეხები ძალიან დაინტერესებულნი არიან გაზეთით და გულდასმით უსმენენ მკითხველს; სამკითხველოს კი სახსარი არ აქვს გაზეთის გამოწერის. კარგი იქნება, თუ შეფი ამ სოფლისა (პარტიული ცენტრალური სკოლა) გაიხსენებს თავის თავზე აღებულ მოვალეობას და დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეშიც, როგორც სხვა საქმეებში აღმოუჩინეს.

ი—გო—ხუპერბა.

თიანეთი

6 აპრილს იქნა მოწვეული თიანეთის რაიონის გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის კრება. დასმული იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება სარაიონო გლეხთა კომიტეტის მუშაობაზე და ახალი კომიტეტის არჩევა, კოოპერატივის დაარსება და უპატრონო ქონების შესახებ. პირველ საკითხზე აკეთებს მოხსენებას ამხ. ივანაური, რომელიც ეხება სარაიონო გლეხთა კომიტეტის მუშაობას და აღნიშნავს უარყოფით და დადებით მხარეებს. მან მოჰყავს ციფრები, თუ რამდენია შემოსული ხორბალი და სხვა ფონდი. აღნიშნავს, რომ კომიტეტის სათავეში არ იდგნენ მომზადებული პირნი, ხოლო ასეთები თუ იყვნენ, მათ ეჭირათ ორი ადგილი, რითაც ფერხდებოდა საქმე. კრება ცნობს კომიტეტების მუშაობას შეძლებისდაგვარათ დამაკმაყოფილებლათ. შემდეგ წინადადება ახალი სარაიონო კომიტეტის არჩევის. აირჩიეს ცხრა კაცი, მათში ერთი ქალი, მათ გამოჰყვეს პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარედ ქურციკიძე მიხეილი, წევრებად

მუშათა ცხოვრება

ფულის რეფორმის გამო

რთულია და მძიმე ყველა სახელმწიფოებისთვის ეკონომიური საკითხების მოგვარება. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკათა კავშირმა შესძლო მრავალი საკითხების რაციონალურად გადაჭრა. მათ შორის ახალი ეკონომიური პოლიტიკა დროული და მიზანშეწონილია. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებას აქვს გადასაჭრელი უდიდესი საკითხი, ცხოვრებაში მისი უმტკივნეულოდ გატარება—ეს არის ფულის რეფორმა.

საბჭოთა კავშირში უკვე დიდი ხანია ტრიალებს მტკიცე ვალიუტა—ჩერვონეცი; მოჭრილია ვერცხლის და ოქროს ფული და განაწილებული რესპუბლიკათა შორის.

დღეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა—ხანა მტკიცე და ურყევ ვალიუტაზე გადასვლისა. ეს მოვლენა უდიდესი და ღირსშესანიშნავია მშრომელთა მასისთვის. დღეის შემდეგ არ ექნება ადგილი არც ერთ მუშის და გლეხის ცხოვრებაში შიშს, რომ მისი ჯამაგირი, შრომით აღებული ფული დაეცემა და განადგურდება.

ქალაქის მუშა-მოსამსახურენი და სოფლის მიწის მუშები ჯეროვანის ყურადღებით უნდა მოეკიდნენ ამ დიდად სასურველ მოვლენას, ჩვენ ეკონომიურ ფრონტზე ახალ გამარჯვებას, მტკიცე ფულის შექმნას.

ჩვენ, მუშები და გლეხები უნდა ვიდგეთ ფხიზლად დარაჯათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ახალ რეფორმას, რაც იხსნის მშრომელ ხალხს ეკონომიურ კრიზისისგან.

ჩვენ მკაცრად უნდა შევებრძოლოთ ცხოვრების სიძვირეს ახალი ფულის კაპიკებში. ამხილეთ და ამჟღავნეთ ბოროტმოქმედებანი მუშათა და გლეხთა ინსპექციის, თქვენი მუშკორების და გლეხკორების და სხვა საშუალებებით. დღეის შემდეგ არ უნდა ჰქონდეს ადგილი „შავ ბირჟას“ და კაპიკებში უთავბოლოდ საქონლის სიძვირეს.

გაუმარჯოს ფულის რეფორმას!
გაუმარჯოს მშრომელთა სამეფოს!
გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა შეგნებას!

მუშკორი ათანასე გაწიძე

საჭიროა საექიმო დახმარების მოგვარება

(სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს და ჯანსახკომის საყურადღებოდ)

გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ჩათახის ქარხნისთვის საჭიროა ექიმი და მედიკამენტები. თბილისიდან 75 ვერსის მანძილზე იმყოფება ეს ქარხანა და აქაური მუშები მოკლებულნი არიან საექიმო დახმარებას. განიცდიან ამ შემთხვევაში დიდ გაჭირვებას. თუმცა ჩათახში ამბულატორია მოიპოვება, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იქ ფერშალს, როდესაც წამლები და მედიკამენტები ხელთ არ აქვს. ბენო კალანდაძის მეოხებით ავადმყოფი მუშები ავტომობილით ჩამოჰყავთ ჩათახიდან თბილისში და ამ წვალებით უხდებათ მუშებს ექიმობა.

იმისდამიუხედავათ, რომ ქარხნის ადმინისტრაციამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რათა ექიმი და წამლები ჩათახში ყოფილიყო, დღემდე არაფერია გაკეთებული ჯანსახკომის მიერ, 11 აპრილს ჩათახიდან გადმოსცეს მლითონის განყოფილებას, ტელეფონოგრამით, რომ მდგომარეობა აუტანელი ხდება, ჩათახში მუშები მოკლებული არიან საექიმო ყოველგვარ დახმარებას, თუმცა უკანასკნელნი დაზღვეულნი არიან დამზღვევ კასაში—პირველ მარტიდან.

უკვე თვეზე მეტია, რაც ჩათახის ამბულატორიას არ მიუღია დამზღვევ კასიდან არც ერთი წამალი და გადასახვევი მასალა. ჩათახის მუშებმა ეს არ დაიმსახურეს, რომ ცენტრმა მათ ყურადღება არ მიაქციოს, ჩათახის მუშებს დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე და უმ. სახ მეურნეობის საბჭო და ჯანსახკომისარიატი ვალდებულია მიიღოს საჩქარო ზომები.

კმარა წერა, საჭიროა საქმე. ჩათახის მუშები მოითხოვენ საექიმო დახმარებას და ეს უნდა მიეცეთ მათ დაუყოვნებლივ.

მუშკორი მელითონე

ქალაქის ბაღების კარები დილით ადრე უნდა იღებოდეს

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ვინ არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის ბაღებს მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის; ამ მხრით ყოფილ ალექსანდროვის ბაღებს საჭირო მიექცეს ყურადღება და ის დილაობით დროზე უნდა იღებოდეს, რომლის სუფთა ჰაერით ყველა მოქალაქე უნდა სარგებლობდეს იქ გავლით და ცოტა ხნით შესვენებით.

საქმე ამ მხრივ ვერ არის მოწესრიგებული და ხშირად ბაღს აღებენ დილის 8 საათზე; ბაღი საღამოობით იკეტება 6 საათზე. ესეც არ არის სასურველი.

საქმე იმაშია, რომ ხშირად ვარ მოწამე ასეთი მოვლენის: დილით მოქალაქენი რკინის მოაჯირეებზე ხტებიან, რომ ბაღით მოკლე გზა მოჭრან თავის საქმეზე და მუშაობაზე გავლის დროს. მოაჯირეებზე გადახტომ-გადმოხტომა კი იწვევს ქალაქის ქონების გაოხრება-განადგურებას და რკინის მოაჯირეების გაფუჭებას; ამისათვის კი საჭიროა ბაღში მომუშავეებმა ბაღი დილით ადრე გააღონ და ამით საშუალება მისცენ ღარიბ მოქალაქეებს მასში თავისუფლად გავლა გამოვლის. გარდა ამისა საჭიროა აგრეთვე საღამოობითაც ბაღი ადრე არ იკეტებოდეს, რომ იქ დასვენებით მთელი დღის შრომის შემდეგ მუშამ სუფთა ჰაერით ისარგებლოს.

საჭიროა ამ გარემოებას ქალ. აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს და ეს არანორმალური მდგომარეობა გამოასწოროს.

მუშკორი უ. ჯაში.

მოგვაშორეთ საძაგელი „არქივი“

(რკ. გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

სამარ. მე-11 და მე-12 ე საწყობებში ილექება ყოველდღიური სწრაფი სიჩქარით მოსული ბარგი-სანოვაგე. ამ მე-11-ე საწყობში არის გამოკედლული ერთი პატარა მხარე, სადაც აწყვია ძველის ძველი წიგნები, ეს „არქივი“ გამხდარა აუარებელ თაგვების თავშესაფარად, რაც უმეტესად ამ ორ საწყობს აყენებს დიდ ზიანს. ხშირი მოვლენაა ბარგ-სანოვაგის მთლიანად განადგურების, რომელიც უმეტესად მოსამსახურე ხალხის კუთვნილებას შეადგენს. სადგურის ადმინისტრაციამ შეგვპირდა ამ არქივის გადატანა, მაგრამ ის კვლავ ძველ მდგომარეობაშია. საჭიროა ეს საწყობი განთავისუფლდეს უსარგებლო დამპალ, უვარგისი მასალისაგან და ყოველნაირ ქვეწარმავალებს მოუსპოთ თავშესაფარი. დღევანდელი მდგომარეობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც შიგ მომუშავე მუშებს, ისე საერთოდ მოსამსახურე ხალხს.

სადგურის მუშა—ხიდისთაველი.

ქ. ფოთის ადგილობრივი ტრანსპორტელთა კავშირის კულტ.-განის მუშაობა

(ჩვენი ფოთელი მუშკორისგან)

ზემოხსენებულ დარგში კულტურული მუშაობა დაიწყო ამხ. ს. ფრუიძემ და შემდეგ ამხ. ი. უჩანეიშვილმა. დღიდან კულტგანის მუშაობისა მოხდა წერა კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის გახსნა, რომელიც მეცადინეობს დღემდის.

აშკარაა, რომ გადამტვირთველ კავშირში შეადგენდა უმრავლესობას, როგორც ფიზიკურ მუშები—უსწავლელნი ამხ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს კავშირის გამგეობის ენერგიული მუშაობა კულტგანთან ერთად, რომელმაც საშუალება მისცა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციისათვის.

1922—1924 იმართება ლექცია-წარმოდგენები უფასოდ კავშირის წევრთათვის და მათი ოჯახის შემადგენლობისათვის. კვირაში ერთხელ წინედ იმართებოდა წარმოდგენები თეატრი „კომიტაში“, სადაც კითხულობდენ ექიმები ლექციებს სხვადასხვა თემებზე—ეხლა კი ა. / წ. მუშათა სასახლის კლუბში იმართება ასეთები.

არსებობს აგრეთვე მე-2 საფეხურის სკოლა, გუნდი-მომღერალთა ამხ. მ. ხავთასის ხელმძღვანელობით. გახსნილი გვაქვს სამკითხველო ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთებით და ბროშიურებით.

კლუბისათვის არსებობს განსაკუთრებული კომისია ე. წ. „კულტკომისია“, რომელიც ხელმძღვანელობს კულტმუშაობას 1923 წლ. სანამ მუშები მოითხოვდენ საკუთარ გაზეთებს, მანამდის კულტკანი იწერდა 100 ცალ გაზეთ „მუშა“-ს, კულტურული განყოფილების თანხიდან არის შეძენილი კიოსკი, სადაც იყიდება ყოველგვარი ჟურნალ გაზეთები, სამოსწავლო წიგნები და საკანცელარიო ნივთები ხელმისაწვდომ ფასებში.

ა / წ. 1 ლ აპრილის საერთო კრებაზე იქნა დადგენილი: ლენინიზმის შესასწავლად იქნას გადიდებული 1 პროცენტი კავშირის ფონდიდან და დაევალა „კულტგანს“ გამართოს ლექცია-წარმოდგენები აღნიშნულ ფონდის გასაძლიერებლად.

მუშკორი გ. ძნელაძე.

მუშათა ქრონიკა

— **წითელი ტრაქტირი მუშებისათვის.** ორთაჭალის რაიონში ახლო მომავალში მოეწყობა წითელი ტრაქტირი მუშებისათვის. იმავე ტრაქტირთან არის მოზდილი ბაღი, რომელიც იქნება გამოყენებული კულტურულ მიზნებისათვის.

— **დუქნების დახურვა.** ორთაჭალის რაიონში დაკეტილია ყველა სამიკიტნო დუქნები, სადაც აქაური მუშები ძალა-უნებურად სტოვებდნენ თავის მცირე შრომის ხელფასს. ეხლა ორთაჭალაში მთვრალი მუშა სანთლით საძებნელია.

— **„სპეც-ტანსაცმელს არ გვაძლევენ.** კარლ მარქსის სახელობის ზეთის სახდელ ქარხნის მუშები, დიდი ხანია, „სპეც-ტანისაცმელს“ ელოდებიან და ვერ ეღირსნენ მიღებას.

უნდა დაიკეტოს

(აღმასკომის საყურადღებოდ).

მე 6 ე უბანში ფლავანდოვის ქ. № 33-ზე არის საწვრიმალო სავაჭრო ვინმე გარეგინ ტერმოსესოვისა და მისი ამხანაგი ჯანდაკასი, რომლებიც ჰყიდიან ღვინოს გარეთ გატანით და შიგ მუშტრებზე დალევინებით; მათ შეუძლიან აწარმოვონ მხოლოთ წვრილმანი ვაჭრობა არა ღვინით, მათ არა აქვთ ნება და ისინი კი განაგრძობენ ღვინის გაყიდვას უნებართვოთ, ეს მოვლენა ყოვლად მიუღებელია საჭიროა ეს დუქანი სამიკიტნო დაუყოვნებლივ დაიკეტოს.

ინჟ. მალიცათნერი.

ჩვენი პროკურატურა მუშების წერილების შესახებ

(გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას).

— **აღმოსავლეთ საქართველოს** პროკურატურა ამით გაცნობებთ, რომ დღეის რიცხვიდან ქ. ტფილისის მილიციის უფროსს წინადადება მიეცა წარმოუდგინოს მას ცნობები გაზ. „კომუნისტი“-ს № 79 ში მოთავსებულ წერილის **„ამ ხაზინლობას ბოლო უნდა მოეღოს“** შინაარსის მიხედვით.

— **ამით გაცნობებთ, რომ** დღეის რიცხვიდან ქ. ტფ. მილიციის უფროსს მოეთხოვა ცნობის წარმოდგენა გაზ. „კომუნისტში“ № 81 მოთავსებულ წერილის შინაარსის მიხედვით სათაურით **„ასეთები უნდა ალაგმოთ“**

აღმ. საქ. პროკურატურა.

ქართლ ძე ალექსანდრე და ვერა ბრეგვაძისა.

კრება დიდ იმედებს ამყარებს ახალ კომიტეტზე.

აგრეთვე იყო გაკეთებული მოხსენება ამხ. ქურციკიძის მიერ კოოპერატივის მნიშვნელობაზე და უპატრონო ქონების შესახებ. კრებამ გამოიტანა დადგენილება—დაარსდეს საჩქაროდ კოოპერატივი, მთელი შემოსულ ფონდიდან გადაიდოს კოოპერატივის გახსნისათვის ნახევარი.

უპატრონო ქონება იქნას აწერილი და გადაცემული კოოპერატივის აღორძინებისათვის. ეთხოვოს აგრეთვე საქართველოს სოციალ უზრუნველ. კომისარიატს, რათა დახმარება გაუწიოს თიანეთის ახლად დაარსებულ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მიერ ნორჩ კოოპერატივს, რომელსაც ექნება საშუალება შეძლებისდაგვარად იაფ-ფასად მიაწოდოს საქონელი გლეხობას და იხსნას იგინი კერძო მოვაჭრეების ყულფისაგან. იმედია, ჩვენი ახლად არჩეული კომიტეტი ამ საქმეს მოაგვარებს და დაანახვებს გლეხობას, თუ რა შეუძლია ურთიერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტებს.

თიანელი დათა.

ნოქალაქევის რაიონი (სენაკის მაზრა)

ა.-წ. 29 მარტს სენაკის სამაზრო პარტკომის დავალებით ნოქალაქევის რაიკომი შეუდგა გლეხთა უპარტიო კონფერენციების მოწყობას. დაარსებულ იქნა კომისია, რომელიც შეუდგა რაიპარტკომის ხელმძღვანელობით სათანადო სამზადისს. მოწყობილ იქნა რაიონში შემავალ ოთხივე თემში საზოგადო კრებები, რომელსაც ხელმძღვანელობდენ რაიონიდან წარგზავნილი 3. მგ. ამხანაგები. თემის კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: 1) თემის საბჭოების მუშაობის ანგარიში, 2) გლეხთა ურთიერთშორის დამხმარე კომიტეტის მუშაობის ანგარიში, 3) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები, 4) საკათალიკოსო საბჭოს პროცესის შედეგების შესახებ, 5) სარაიონო უპარტიო გლეხთა კონფერენციის დელეგატების არჩევნები. ამ საკითხებზე გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუციები. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გლეხობა კმაყოფილებით შეხვდა საკათალიკოსო საბჭოს გასამართლების შედეგებს; ყველგან კრებებზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც ზიზღს უცხადებენ ანაფორაში გახვეულ კონტრ-რევოლიუციონერებს და ბნელეთის მოციქულებს, აგრეთვე მათ დამცველთ—ნინიძეს და კომპანიას.

ა / წ. 5 აპრილს რაიონულ ცენტრში, ნოქალაქევში გამოცხადდნენ ყველა თემებიდან გლეხობის წარმომადგენლები რიცხვით 66. კონფერენციას დაესწრო გარდა დელეგატებისა 200 კაცი და ქალი. კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მაზრის წარმომადგენელი ამხ. ვანო ჩაკვეტაძე და აგრეთვე ადგილობრივ პარტიული, კომკავშირის, პროფკავშირის და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლნი. კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს ხუთი კაცისაგან შემდგარს. კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, ცხაკაია და ორჯონიკიძე. კონფერენცია ამტკიცებს დღის წესრიგის შემდეგ საკითხებს: 1. მოხსენება რაიაღმასკომის მუშაობის შესახებ; 2) საკავშირო საბჭოების მეორე ყრილობის მუშაობის ანგარიში; 3) ლენინი და გლეხობა; 4) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დომენტი მალანიამ, რომელმაც ვრცელი ანგარიში წარუდგინა კონფერენციას დაარსების დღიდან აღმასკომის მიერ გადადგმულ ნაბიჯების და დაუსახა მორიგი ამოცანები. იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოხსენებით კონფერენცია დარჩა კმაყოფილი და დაადგინა: აღმასკომის მუშაობა იქნას ცნობილი სრულიად დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ ორ უკანასკნელ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვანო ჩაკვეტაძე მომხსენებელი ვრცლად ეხება და შინაარსიანი სიტყვით უხსნის კონფერენციას საკავშირო საბჭოების მეორე ყრილობის ყველა დადგენილებებს. შემდეგ მომხსენებელი გადადის მესამე საკითხზე ლენინი—და გლეხობა. აგრეთვე ვრცლად და შინაარსიანად მარტავს ამხანაგი ამ საკითხის შინაარსს და მნიშვნელობას. მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა ფრიად დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოხსენებებით კონფერენცია დარჩა კმაყოფილი და გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რითაც კონფერენცია გამოხატავს ნდობას და სიყვარულს საბჭოთა ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელ კომპარტიისადმი. კონფერენცია აღნიშნავს, რომ იგი მტკიცედ დაიცავს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და ხელს შეუწყობს მსოფლიოს მშრომელთა წინამძღოლის ლენინის ნაანდერძევის განხორციელებას.

ღამის 12 საათზე დელეგატების საპატივსაცემოდ გამართულ იქნა წარმოდგენა, მოზარდ თაობამ აგრეთვე მიუძღვნა კონფერენციას ლექსები, რამაც დელეგატებში აღძრა მომავლის იმედი.

უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა კონფერენცია ჩატარებულ იქნა ძლიერ კარგად, მას ჰქონდა საქმიანი ხასიათი. ეჭვს გარეშეა, რომ ამას და ასეთი სხვა კონფერენციების შედეგი იქნება ის, რომ მშრომელი გლეხობა უფრო დაუკავშირდება საბჭოთა ხელისუფლებას და ივლის ლენინის ნაჩვენებ გზით.

ა. ფოტინეშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა წითელ დარბაზში **დანიშნულია**

რაიონული პარტკონფერენციის გახსნა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება **რ. კ. პ. ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმის შესახებ.**
2. **თბილისის კომიტეტის ანგარიში (ამხ. კალინინის მოხსენება).**
3. **საინფორმაციო სახოთის ცნობა პარტიაში მუშურ ელემენტის მიღების შესახებ.**
4. **თბილისის პარტკონფერენციაზე დელეგატების არჩევნები.**

ვსთხოვთ ყველა დელეგატებს და კანდიდატებს ნუ დაიგვიანებენ.

ქალაქის რაიკომის პასუხისმგ. მდივანი გ. **სტურუა**

არსენალის რაიკომი იუწყება, რომ 16 აპრილს, საღამოს 5 ნახ. საათზე სახალხო სახლში **გაიმართება**

სარაიონო პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. **თბილისის კომიტეტის ანგარიში.**
2. **თბილისის ქალაქის კონფერენციაზე დელეგატების არჩევნები.**
3. **მიმდინარე საქმეები.**

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი **მახუფალი**

— **3 რაიონის ყველა ოაჯიკებს.** საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3-ე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 16 აპრილისათვის დანიშნული სარაიონო კონფერენცია გადადებულია 18 აპრილისათვის; კონფერენცია გაიხსნება საღამოს 6 საათზე 3-ე რაიონის პარტკლუბის ბინაზე.

მდივანი გართაპეტიანი.

— **თბილისის კომიტეტის საგუბ.-საპროპ. განყოფილება** მოაგონებს ყველა საშეფო კომისიებს, რომლებსაც არ შეუვსიათ ანკეტები თავიანთ მუშაობის შესახებ, რომ საჭიროა წარმოადგინონ ასეთები სამი დღის განმავლობაში.

ტფ. კომიტ. სააგიტ-საპროპ. განყოფ. გამგე—მ. გასენი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე იულია, შვილები: მუნიკა და კოკო აცნობებენ ნათესავებსა და მეგობრებს მათი უძვირფასესი

სიმონ (სიმონიკა) ზურაბის ძე
ბ ე რ ი ძ ი ს

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე დუშეთის ჩიხი № 16. დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 აპრილს ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე.

3—2 - № 834

ომაჰილთა შრომის არტელი „ახალი წრე“-ს წევრნი: ს. გარუჯ. აკ. შოგირაძე, პ. კავჟარაძე, ვ. ანთელავა, ს. გელაშვილი და ანთელავა გულითად მწუხარებით აუწყებენ ამხანაგ-მეგობართ 12 აპრილს საღამოს 9 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი ამხანაგი

სიმონიკა ბერიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 17 აპრილს ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე გარდაცვალებულის ანდერძით.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოთი ბინაზე. (დუშეთის ჩიხი, № 16)

836 1—1

ღრმად დაწუხებულნი ლიუბა კონსტანტინეს ასული ხუნდაძისა შვილებით ოთი და თამარათი, იოსებ კონსტანტინეს ძე და ნინო გრიგოლ ასული ხიდირბეგიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი ქმრის, მეორე ძვირფასი მამის, მესამე და მეოთხე ძვირფასი სიძის

ივანე ნიკოლოზის ძის
ხ უ ნ დ ა ძ ი ს ა ს

გასვენება ხდება მის ბინიდან (პურის მოედანი № 5) ოთხშაბათს, 16 აპრილს, დღის 4 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი სამშაბათს საღამოს 7 საათზე.

2—2—1030

პ. ი. ლენინ. სახელობ. საოპერო თეატრი

ნ. 1028—2

დღეს ოთხშაბათს, 16 აპრილს

ს ი ლ ვ ა

ხუთშაბ. თ., 17 აპრილს
„აბესალომ და ეთერი“-ს
გენერალური რეპეტიციის გამო **წარმოდგენა არ არის.**

პარასკევს, 18 აპრილს რუსეთის თეატრების დამსახურებულ არტისტის

ი. პ. ფალიაშვილის
35 წლის იუბილე.
წარმოდგენილი იქნება
აბესალომ და ეთერი.
შაბათს—„ოქროს მამალი“.

დადგენილება მტკიცე ფასების შესახებ

სავალდებულო დადგენილება № 61

1924 წ. აპრილის 14

საქონლის ფების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს სახელმწიფო ორგანიზაციებ დადგენილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარების მიზნით, ბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) შექმნილ ნას მასთან განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდოს ქ. თლისში საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ უმაღლეს ეკონიურ საბჭოსა ა. კ. ს. ს. ფ. რ. შინა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატისა და სხვა სახელმწიფო მაღალ ორგანოთა ყველა დგენილებების სწორი ასრულებისათვის სასტიკი თვალყურის დევ და პასუხისგებაში მიცემა იმ პირთა და დაწესებულებათა, რომნიც ამ დადგენილებებს დაარღვევენ.

2) დაევალოს ყლა როგორც კერძო აგრეთვე კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო წარმოებათა პატრონებს,—გამოსაჩენ ადგილას დაჰკიდონ ფასის ცხრილი ყველა იმ საქონელზე, რომელნიც ცალობრივ ვაჭრობაში ითვლებიან.

3) დაევალოს მ.კ. მილიციას ყოველნაირი დახმარება გაუწიოს კომისიის წევრებს დაათ რწმუნებულებს ფასების მოწერიგების დარგში ცალკე განკარგულებათა და დადგენილებათა ასასრულებლად.

4) ფასების მოწერიგების დარგში სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი პირნი ფასების დამწევ განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებით დაპატიმრებულნი იქნებიან 2 თვემდე ან დაჯარიმებული 15 ჩერვონცამდე.

თბილისის აბჭოს თავმჯდომარე ვლ. **ხუხიშვილი**
მდივანი **თიკანაძე**

მტკიცე ფასები

სავალდებულო დადგენილება № 62.

4 აპრილი 1924 წ.

თბილისის მუშათა, გლეხა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა

ა. კ. ს. ს. რ. ფ. ვჭრობის მომწესრიგებელ კომისარიატის ა. წ. 12 აპრილის დადგენილების თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) მაგარ ვალიუტაზე გადასვლისა და ბონების დაცემის გამო დაზღვევითი მომატების უქონობის გამო 1924 წლ. 15 აპრილიდან ქ. თბილისში შემოღებული იქნას უმაღლესი ცალობრივი ფასები შემდეგ საგნებზე:

1) **პური** 1 ხარ.	1 გირ.	8 კაპ.	
„ 2 „	1 „	6 „	
„ 3 „	1 „	5 „	
2) **შაქარი რაფინადი**	1 „	35 „	
„ ფხვნილი	1 „	28 „	
3) **მარილი** ყულფის	1 „	2 „	(ფუთობით ცალობრივი 76 კაპ.)
„ ნახჩევანის	1 „	2 „	
„ ყირიმის	1 „	2 და ერთი მეოთხედი	
4) **ნავთი**	1 „	3 და სამი მეოთხედი	

2) უმაღლესი ფასები სავალდებულოა, როგორც სახელმწიფო და კოოპერტიულ დაწესებულებათათვის, აგრეთვე კერძო სავაჭრო წარმოებათათვის.

3) ცალობრივი ვაჭრობაში ფასების დაკლება გავრცელდეს სხვა საქონელზედაც არა ნაკლებ 15 პროცენტის რაოდენობისა ა. წ. 7 აპრილის ფასებთან შედარებით.

4) ფასების დამკლებ კომისიას ევალება სასტიკი თვალყური ადევნოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

5) ამა დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან 2 თვემდე ან და დაჯარიმებული 15 ჩერვონცამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ხუხიშვილი
ფასების დამკლებ კომისიის თავმჯდომარე აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი **ივანოვ-კავკასიელი.**
მდივანი **თიკანაძე**

კომუნალურ სექციის წევრების საყურადღებოდ.

კომუნალური სექცია [illegible] ქვე I სექციად [illegible]: კეთილ[illegible] შის, უძრავ ქონებათა სამმართველოს და წარმოებების [illegible]

ამიტომ ვთხოვ ამ სექციის წევრებს განაცხადონ სურვილი [illegible] მიელ ქვე I სექციაში სურთ მუშაობა.

პირადი განცხადებები მიიღება 16 აპრილიდან 19 აპრილამდე [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე კომუნალურ განყოფილების მმართველისთან დვორაკოვსკისთან (ოთახი № 58).

კომუნალურ სექციის თავმჯდომარე **ივანოვ-კავკასიელი**

ნ. 1034

---

16 აპრილიდან განახლდება
გაზეთ **„მიწის მუშის“**
ყოველდღიურათ გამოცემა.

გაზეთი თვიურათ ეღირება—50 კაპ. პროვინციაში გაგზავნით
დაკვეთა მიიღება თბილისში, რუსთაველის პროსპექტი № 24
ა. ბ. ც. კ. გამომცემლობის კანტორიდან. უ. 5

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი

ამიერ-კავკასიის საოლქო კ ტორა,

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სას ლო-სამეურნეო ბანკი, სრულიად რ თის კოოპერატიული ბანკის თბილი განყოფილება, საბჭოთა საქართველ სასოფლო-სამეურნეო ბანკი და თბი სის ქალაქის ბანკი.

ამით აცხადებენ ყველას საყურადღებოთ, რომ აღნიშნულ კების ყველა კასებში სწარმოებს როგორც ჩერვონცების დაგება სახელმწიფო სახაზინო ბილეთებზე, ისე სახელ სახაზინო ბილეთების გამოცვლა ჩერვონცებზე იმ ანგარ რომ 10 მანეთი ოქროთი სახელმწიფო სახაზინო ბილე უდრის ერთს ჩერვონეცს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ- სიის საოლქო კანტორა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სასოფლო-სამე ბანკი.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის თბილ განყოფილება.

საბჭოთა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბა თბილისის ქალაქის ბანკი.

2—2 ნ.ს. 1

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126).

ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამოს 4 6 მდე.

748 20—9

ქ. თბილისის № 3—4 რაიონის სასამართლო აღმასრულებელი

ა. ა. ზეზვკორი

ამით აცხადებს, რომ ის 28 აპრილს ამ 1924 წ. დილ. 11 [illegible] 2800 მან. [illegible] № 486 [illegible]

სასამართლო აღმასრულებელი ა. ზეზვკორი.

838 1

ქ. თბილისის № 3—4 რაიონის სასამართლო აღმასრულებელი

ა. ა. ზეზვკორი

ამით აცხადებს, რომ ის 24 აპრილს ამ 1924 წ. დილ. 11 [illegible] სახლში № 5 [illegible] 1880 მან. [illegible] 1924 წ. თარიღით, № 486 [illegible]

სასამართლო აღმასრულებელი ა. ზეზვკორი.

838 3—

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს დილის 9—10 საათამდე და 5—7 საათამდე. მისამართი: სოლოლაკის ქ. № 9. [illegible]

746—25—9

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

[illegible] ექ. სვიანე [illegible] ქ. № 20.

126—25—11

დაიკარგა [illegible]

837 1—

დაიკარგა [illegible]

სტამბა „ზარია ვოსტოკის“ [illegible] ქუჩა № 4